საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლ-ევრული სიფცვაა, ფიფილებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 24 სექტემბერი. 2016 წ. №178 (8070), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ლევილის მამული საქართველოს დაუბრუნდა

ლევილის მამული საქართველოს დაუბრუნდა. 25-წლიანი ლოდინის შემდეგ მამულის საქართველოსთვის გადმოცემის აქტს ხელი გუშინ ლევილის მამულში მოეწერა.

პარიზიდან 37 კილომეტრში მდებარე 45 000 კვადრატული მეტრი ფართობის ისტორიული მამულის საქართველოსათვის გადმოცემის აქტს საქართველოს მთავრობის მხრიდან ხელი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ, ხოლო ფრანგული მხრიდან ხელმომწერნი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის წევრთა ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ.

ისტორიული აქტის ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში ეკატერინე სირაძე-დელონე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საფრანგეთში გოჩა ჯავახიშვილი, ქ. ლევილის მერიისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი

ეროვნული თანხმობის პარლამენტისთვის

ქართული, მხოლოდ ქართული გზა!

ხსოვნის აფეთქება - ეს ეპოქის შეფასებაა!

დიდი **მოაზროვნის, ბუმბერაზი ხელოვანის, ქართველ მიქელანჯელოდ აღიარებული, ქართული სულისა და ეროვნული ცნობიერების კაცის მერაბ ბერძენიშვილისა და მამულისათვის თავშეწირული, ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ამ ნააზრევში მთელი ეპოქის ანალიზია.**

ამ ორ დიდ პიროვნებას მამულიშვილობასა და მეგობრობასთან ერთად ისიც აერთიანებს, რომ ჟიული შარტავა გახლდათ პირველი, ვინც მერაბ ბერძენიშვილის უკვდავი ქანდაკება **„კიდევაც დაიზრდებიან“** პეტერბურგში საგანგებოდ დაამზადებინა 10 ათასი ეგზემპლარი შემცირებული ზომით და დაურიგა ქართველ ახალგაზრდებს. დარწმუნებული ვართ, ყველა იმ ოჯახში ის დღესაც განსაკუთრებული რელიკვიაა.

ჩვენ ვართ ამაყნი, რომ გვყავდა მერაბ ბერძენიშვილი, გვყავდა ჟიული შარტავა.

ვამაყობთ, რომ მერაბ ბერძენიშვილი იყო მეგობარი მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფისა „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“, რომ ჟიული შარტავა იყო პირველი, ვინც შექმნა დღემდე მოქმედი ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, რომლის არაერთი წევრი შემოუერთდა ჩვენს განწყობას ეროვნული თანხმობის პარლამენტისთვის.

ბატონი მერაბ ბერძენიშვილი, არათუ იზიარებდა ჩვენს განწყობას, არამედ, აღფრთოვანებას ვერ ფარავდა **ეროვნული თანხმობის პარლამენტის იდეის** გამო. მარტივად გვითხრა: **„პატარა ქვეყანა ვართ, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, ვინ არის ღირსი, ქვეყნისათვის ამ რთულ ეტაპზე იყოს პარლამენტარი. მთავარია, ამბიცია მოთოკონ პოლიტიკურმა პარტიებმა და პოლიტიკოსებმა ... ჩვენ ამ დღეში, რომ ვართ, ეს მათი „მოღვაწეობის შედეგია“.**

ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია, ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი.

ჟიული შარტავა

ბედნიერი იქნება საქართველო, როცა დააფასებენ, მადლიერებით იქნებიან ერისკაცების მიმართ, მოუსმენენ მათ, გულნატკენს არ გაუშვებენ ამ ქვეყნიდან.

გულნატკენი წავიდა მერაბ ბერძენიშვილი. უკადრებელი აკადრეს. მარტო მას კი არა, მთელ საქართველოს. გულნატკენი წავიდა ჟიული შარტავაც. ყველას გვახსოვს, როგორ ითხოვდა დახმარებას აფხაზეთის ერთიან საქართველოში შენარჩუნებისათვის, მაგრამ ამაოდ. არ მოუსმინეს! ...

ჟიული შარტავას ხვეწნა-მუდარის უგულებელყოფა, ისტორიულად, საქართველოს დამანგრეველი ღალატის კლასიკური მაგალითია.

მერაბ ბერძენიშვილის **„დიდების მემორიალის“** აფეთქებას, იმ მემორიალის აფეთქებას, რომელსაც როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა მეცნიერებმა **„ფილოსოფიური ტრაქტატი“** და **„ქართული ბიბლია“** უწოდეს, ჩვენ, მეცნიერები, **„ხსოვნის აფეთქებას“** ვუწოდებთ. სამწუხაროა, რომ დღემდე გრძელდება ხსოვნის აფეთქება და ამის დასტურია ჩვენი დღევანდელი ყოფა... ასევე ამის დასტურია **2007 წლის 7 ნოემბრის, 2008 წლის 8 აგვისტოს, 2011 წლის 26 მაისის** რეალობა ...

ჩვენ, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრები, ტრაგიკული თარიღის, 27 სექტემბრის წინ, შეგნებულად ვახსენებთ დამოუკიდებელი საქართველოს ამ მძიმე მაგალითებს მთელ საქართველოს , მთელ მსოფლიოში მიმობნეულ ქართველობასა და საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს ნამდვილ მეგობრებს.

ერთად დგომით, ჩვენ შევძლებთ 27 სექტემბერი დარჩეს როგორც ისტორია და მომავალში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად, ეს დღე აღვნიშნოთ, როგორც ჯვართამაღლება.

ჩვენი ვიზიარებთ ღვაწლმოსილი პიროვნებების მიერ დაფუძნებული „ქართული ერთობის დარბაზის“პოზიციას, რომ დაპირისპირებით და ზიზღით სავსე პოლიტიკური სივრცე სათნოებით და სიყვარულით უნდა შეიცვალოს, კონფრონტაცია პრინციპულობამ უნდა შეცვალოს... და ჩვენ ყველამ ჰარმონიზაციის რთული გზა უნდა ავირჩიოთ, რათა შევძლოთ სიძულვილის სიყვარულით დამარცხება.

„დიდება უფალს, რომელმაც მომცა მხნეობა, ძალა და თმენა ჭირისა. მე ვარ ამაყი შვილი ჩემი ქვეყნისა — საქართველოსი. შემცდარია ყველა, ვინც ჩემი ღირსების შელახვას ძეგლების ნგრევით ფიქრობს. მათ ისიც არ იციან, რომ ამით მე კი არა, საქართველოს მტრობენ.“

მერაბ ბერძენიშვილი

ხალხი გვეუბნება, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება:

ეს ყველასთვის დიდი ნიშანია. მნიშვნელობა არა აქვს, ხელისუფლებაში ხარ თუ არა, ან იყავი თუ არა ხელისუფლებაში. დიდი ნიშანია ყველასთვის, ვისაც ოდნავი პასუხისმგებლობა გააჩნია ქვეყნის მომავალზე.

(მე-5 გვერდი)

სამართლიანობის მანიფესტი

ხელისუფლების უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისთვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, გარანტირებული გახადოს უკეთესი ცხოვრებისაკენ მისი სწრაფვა.

(მე-6 გვერდი)

ქვეყანა სავსეა ზნეობრივი ადამიანებით. საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

(მე-7 გვერდი)

ვეძებთ გზებს, როგორ დავიცვათ ხელისუფლება მათგან, ვინც ძალაუფლებისაკენ ილტვის, გამდიდრების ან უკვე დაგროვილი სიმდიდრის დაცვის მიზნით.

გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები.

(მე-8 გვერდი)

წაიკითხეთ და აღივსეთ შურით, ჩვენ ერთმანეთის ვართ მესაფლავე!

უკრაინული ვიკილიქსი: მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რევოლუციას გეგმავს

უკრაინული ვიკილიქსი მორიგ ფარულ ჩანაწერს ავრცელებს, რომელშიც ოდესის ადმინისტრაციული ოლქის ხელმძღვანელის მიხეილ სააკაშვილის აკაკი ბობოხიძესთან, ირმა ნადირაშვილთან, გიგა ბოკერიასთან, ნუგზარ წიკლაურთან და გიორგი ვაშაძესთან საუბარია გაშიფრული.

„ვიკილიქსის“ ინფორმაციით, საქართველოს ექს-პრეზიდენტი ოდესაში სპეციალურად ჩასულ თავის გუნდთან ერთად გეგმავს რევოლუციურ სცენარს საქართველოში.

„ვიკილიქსის“ მასალას გთავაზობთ უცვლელად.

სააკაშვილი: არჩევნები, როგორც ვუყურებ წაგებისკენ მიდის, ამიტომ მხოლოდ რევოლუციური სცენარი გვჭირდება! რევოლუციური მუხტი არ არის ეხლა საერთოდ, მუხტი თუ არ იქნა, გადატრიალება გამორიცხულია. აგერ კაკო სულ წუწუნებს, გაურკვევლობაში და უმოქმედოდ ვართო, აი იმუშავეთ მუხტზე, ამაზე კაი მიმართულება რა გინდათ.

კაკო ბობოხიძე: გეთანხმებით, მითუმეტეს მაგის მეტი რა ვიცი. მე მზად ვარ! 90-იანი წლებში რამდენჯერ გავაკეთეთ და 2003-ში კი რაც გავაკეთე ხომ გახსოვს მიშა! გამომიყენეთ, ძმაო, დავგეგმოთ დეტალები და ორგანიზებას მე გავქაჩავ!

სააკაშვილი: ხოდა დაიწყეთ მერე, დრო აღარ იცდის კაკო, მე შენს ინტუიციას ვენდობი. ითანამშრომლეთ სხვა პარტიებთან, ინაშვილი, კუკავები, კაციტაძეები, თუნდაც ის ბოჩოლა ალასა გამოიყენეთ, ბიძინას ხელშია ყველა რესურსი და ძაან გაგვიჭირდება, მაქსიმალურად ყველა უნდა გამოვიყენოთ....

გიორგი ვაშაძე: რა ვიცი, მე მაინც ვფიქრობ რომ, რასაც თქვენ ამბობთ ახალი სახეები, განახლებული პარტია, ჩემი შტაბის უფროსობის შემთხვევაში, მე ბევრად მეტ შანსს ვხედავ, მე მაინც ვამბობ, რომ თუ სწორად ვიმოქმედეთ, ხმების აღებას შევძლებთ.

სააკაშვილი: მოიცა რა, მოკლედ, ამ მთავრობის დამხობა, რომ გადატრიალების გარეშე ვერ მოხდება ფაქტია, არჩევნების გზით შანსი ნოლია, გიორგი, აღარ მითხრა ეხლა კიდე სისულელეები.

გიორგი ვაშაძე: ნუ, მე მაინც ვფიქრობ რომ...

სააკაშვილი: კაი, ნუ, გასაგებია, ამიტომ აგერ მელია ფიქრობს სხვანაირად და ეგ ჩაუდგება ზუსტად სათავეში, მოვრჩით ეხლა! „NDI“ კაი იყო, გიგა, ჩაგეთვალა, ეხლა ამის არგამოყენება და რა ვიცი... მეტი ასეთი შანსი არ მოგვეცემა.

გიგა ბოკერია: კი, მაგ სცენარით მივდივართ რა, სწორი „ფოინთებია“ ეხლა ჩამოსაყრელი.

სააკაშვილი: მაქსიმალურად ხალხზე უნდა იმუშაოთ, სულ უნდა იძახოთ, — რომ აი ჩამოიშალა მთავრობა, უმრავლესობა ეშლებათ და შანსი აღარ აქვთ, აბა ეს ვითომ „NDI“-ის კვლევა რაღად გვინდოდა მაშინ....

გიგა ბოკერია: რა თქმა უნდა, არჩევნების მერე, თავისთავად გამოგვყავს ხალხი ქუჩაში, არჩევნები გაგვიყალბეს და „ფოინთები“ გასაგებია... ნუ, მაგის მეტი რა ვიცით. ისე გავაკეთებთ, რომ ყველაფერი ქოცებს დაბრალდეს!

კაკო ბობოხიძე: თან მაგარი ისაა, რომ კვლევამ ხო მცირედი სხვაობა ანახა, არადა,,ქოცები“ როგორც ჩანს გვიგებენ და მაგარი სარწმუნოა, რომ გაგვიყალბეს და ქუჩა ეგრევე — რევოლუცია.

სააკაშვილი: ხო კაკო, მარა მაქამდე ბევრია სამუშაო, ყველაფერი მაგრად უნდა გავთვალოთ...

კაკო ბობოხიძე: რა თქმა უნდა.

სააკაშვილი: ირმა, „რუსთავი“ მოიკოჭლებს, უფრო მეტად უნდა იაქტიურონ, ეგ ჩემისა გვარამია რას შვრება? სად დაფრინავს? რა ჭირს მაგ ბიჭს... ველარ ვცნობ...

ირმა ნადირაშვილი: ,,რუსთავი“ არაა პრობლემა, ნუ, გვარამია არ ვიცი... პირადში რაღაც.

სააკაშვილი: რა დროს პირადია, ნუ გამაგიჟეთ. ნუგზარ! რეგიონები? როგორი განწყობებია? ხო იცი? მაგათ იმედზე უფრო ვართ, თბილისი არასდროს არ იყო ჩვენი, ძაან ბევრი ხალხი დაგვჭირდება, მიტინგები თან რამოდენიმე ქალაქში უნდა გავაკეთოთ და მერე თბილისში შევაერთოთ, ფინანსები არაა პრობლემა, მთავარია ხალხი. მარტო ტელევიზორით კი არა, სოფელ-სოფელ უნდა იაროთ. აზერბონები დაგვეხმარებიან, რაზერა ხო ხოდზეა, წავიდა და რამე.

წიკლაური: განწყობა კაია, ფინანსებიც თუ იქნება, არ უნდა იყოს პრობლემა.

სააკაშვილი: გიგა! აღარ უნდა ახლა ამას ბევრი ფიქრი, ეგრეა რა, სხვა გამოსავალი არაა. შენ მაქსიმალურად ჩართე კანდელაკი და ჩიორა, უფრო მეტად იაქტიურონ ევროპაში... ეს გამოყლეებული ბაქრაძე სადაა ვაბშე, ეგ მკვდარია, პირველ ნომრად უკვე მეეჭვება. ეგაც და სხვებიც თბილისში რომ სხედან, რას მიკეთებენ.

გიორგი ვაშაძე: მე მაინც ვთვლი, რომ გადატრიალება არ არის კარგი იდეა, რომ ვერ მივიყვანოთ ბოლომდე მაშინ?!

სააკაშვილი: გივის ფაქტორიც აუცილებელია, მაგის კონტაქტები უეჭველი დაგვჭირდება, ეს პოლიციელები, ზონდერები, მაგი ყველას იცნობს, აგერ ლევანა გვაზავა და ყოფილებიც აქტიურობენ, ნუ მოკლედ მწიფდება ეხლა ყველაფერი, მთავარია შეცდომები არ დავუშვათ, ეს სირქოცები კიდე ხო ხედავთ? შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ჩვენი ხალხი ვინც მაგათთან გვყავს, ყველა უნდა გამოვიყენოთ!

გიგა ბოკერია: არა, ამათ შევუსრულებთ, შანსი არაა, ფონი უკვე არის, ეხლა კიდე კაი შეხვედრები მექნება ჩვენს დასავლეთელ მეგობრებთან და ნუ რავი... მაგრად მივდივართ.

კაკო ბობოხიძე: აბა რა, სადაა მაგენის საგულაო, ეს უნიათო დებილები მართლა, ამდენი წელია პოლიტიკაში ვარ და ესეთი უნიათოები მართლა არ მინახავს, ამათი დედა მოვტყან.

სააკაშვილი: უკრაინის იდიოტობამ ცოტა ხელი შემიშალა, მარა ეხლა სრულად მაქეთ გადმოვერთვები, ესეთი შანსი ჩვენ აღარ გვექნება. ეს განახლება საჭიროა, ძველი სახე ახალმა უნდა ჩაანაცვლოს. ხალხს სიახლე უნდა დავანახოთ, ყველანაირი რესურსი უნდა გამოვიყენოთ და ეს საზიზღარი უნდა ჩამოვაგდოთ, დიდი ბრძოლა გველის, რესურსი ამათ ხელშია, ჩვენ მაგრათ უნდა დავდგეთ, მაგათ ისიც არ იციან, როგორ გამოიყენონ ხელისუფლება. ერთი მიწოლა უნდა და სულ ჩამოიშლებიან!

ნუგზარ წიკლაური: კარგია, მეტ ყურადღებას თუ მოგვაქცევ, ხალხზე ეგ ძაან მოქმედებს, დამიჯერე.

გიგა ბოკერია: ერთი შეკრება მერე კიდე უნდა შევიკრიბოთ, დათო მართლა გამოყლევდა. მოკლედ სცენარით მივდივართ და აღარაფერმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი, გვარამიას შენ თუ დაელაპარაკები, უკეთესი იქნება. უკანალის თამაშს თავი გაანებოს და საქმე აკეთოს!

სააკაშვილი: კაი, ნიკას მე მივხედავ, პირადს მივცემ მაგას, რისთვის დავსვით იქ, მოკლედ მუხტზე და ხალხზე ვმუშაობთ სერიოზულად, კაკო, გიგა, ნუგზარ თქვენს იმედზე ვარ. ირმა, შენ თავისთავად!

სულხან მოლაშვილის ოჯახის განცხადება

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის ოჯახი საზოგადოებას მიმართავს.

მოლაშვილის ოჯახი საზოგადოებას გამოჩენილი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის და მოლაშვილის პეტიციაზე ხელმომწერებს ძალადობრივი რეჟიმის მსხვერპლთა პატივის მისაგებად ერთჯერადი აქციის დაგეგმვისკენ მოუწოდებს.

„მივმართავთ სულხან მოლაშვილის პეტიციაზე ხელმომწერებს. პირველ რიგში, დიდ მადლობას გადაგიხდით ყველას სულხანისა და ჩვენი ოჯახის მხარდაჭერისთვის და გვსურს, აღნიშნულ მიმართვაში, თქვენი ყურადღება ორ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ, მითუმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით ორივე საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

პირველი — აუცილებლად უნდა დაისაჯოს სულხანის საქმეში მონაწილე ყველა დამნაშავე, ხოლო მეორე საკითხი ეხება ისეთ თემას, რომელიც ყველაზე პრინციპულია ჩვენთვის — ძალადობა, რომელიც ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს, არ უნდა იყოს დავიწყებული, ამიტომ გვსურს, საზოგადოებას შევახსენოთ ის სისასტიკე, რითიც იმართებოდა ჩვენი ქვეყანა, რომელიც საზოგადოების დიდმა ნაწილმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

მოგმართავთ პეტიციაზე ხელის მომწერებს, რათა შევიკრიბოთ და დავგეგმოთ ერთჯერადი აქცია, ძალადობრივი რეჟიმის მსხვერპლთა პატივის მისაგებად და წამებისა და სისასტიკის დასაგმობად“, — ნათქვამია მოლაშვილის ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით ნამდვილად შევძლებთ იმას, რომ ქვეყანაში იყოს ეკონომიკური წინსვლა...

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ხულოს რაიონის მოსახლეობას შეხვდა და გააცნო პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ,,დემოკრატიული მოძრაობას“ ამ რაიონში, ღირსეული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ჰყავს — მამუკა ღორჯომელიძე და მიხეილ მახარაძე და პარლამენტში გასვლის შემთხვევაში, ისინი, აუცილებლად მოაგვარებენ ამ რაიონის მოსახლეობის პრობლემებს.

ნინო ბურჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ ხულოს რაიონში, ტრადიციულად, ძალიან ბევრი ადამიანი უჭერს მხარს „დემოკრატიულ მოძრაობას“ და ეს არის მოსახლეობის სწორი არჩევანი.

„არ არის ელემენტარული დაცვა ამ ადამიანების — ცხოვრობენ უმძიმეს კლიმატურ პირობებში, აწუხებთ უმუშევრობა და თუნდაც ის, რომ გოდერძის უღელტეხილის გზას არ დაადგა საშველი, ანუ რეალურად, ესენი გრძნობენ იმას, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ამათთვის არ სცალია. ვპირდებით მოსახლეობას, რომ თუ ისინი შემოხაზავენ სამ ნომერს, ჩვენი სწორი და ეფექტური მმართველობით — მეზობლებთან, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის დალაგებით — ნამდვილად შევძლებთ იმას, რომ ქვეყანაში იყოს ეკონომიკური წინსვლა, გასაღების ბაზარი. რის შედეგადაც ადამიანები დასაქმდებიან, თვითონ არჩენენ საკუთარ ოჯახებს და აღარ იქნებიან დამოკიდებული სახელმწიფოს სოციალურ დახმარებაზე“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მრეწველები ცესკოდან მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ

საარჩევნო ბლოკ „თოფაძე-მრეწველები — ჩვენი სამშობლოს“ ლიდერის გოგი თოფაძის განცხადებით, მათი პარტიის წინააღმდეგ ცესკო-ში პროვოკაცია მოაწყვეს.

თოფაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მან არ იცის კონკრეტულად, ვინ მოაწყო პროვოკაცია, მაგრამ აღნიშნავს, რომ არჩევნებში დიდი უპირატესობით მხოლოდ „ქართული ოცნება“ გავა, დანარჩენი პარტიები კი, კონკურენტები არიან.

„ვფიქრობთ, დიდი ზარალი მოგვაყენა ერთმა კვირამ. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ცესკოს წარვუდგინოთ მორალური და მატერიალური ზიანის აღდგენის შესახებ ჩვენი მოთხოვნა“, — აღნიშნა თოფაძემ „პირველ პრესკლუბში“.

შეგახსენებთ, რომ ცესკომ საარჩევნო ბლოკს „თოფაძე-მრეწველები — ჩვენი სამშობლო“ რეგისტრაცია გაუუქმა და განმარტა, რომ მან კომისიას დადგენილ ვადებში რეგისტრაციისთვის აუცილებელი პარტიული სია არ წარუდგინა.

აღნიშნულის შემდეგ, ბლოკისთვის რეგისტრაციის აღდგენის შესახებ სასამართლომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, რაც თავის მხრივ ცესკოს არ გაუსაჩივრებია.

რუმინეთში ყოფილი ვიცე-პრემიერის გასამართლებას აპირებენ

რუმინეთში საპროტესტო აქცია გაიმართა. ბუქარესტის ქუჩებში 2 ათასამდე ადამიანი ყოფილი ვიცე-პრემიერის გასამართლების მოთხოვნით გამოვიდა. „ჩვენ სამართლიანობა გვჭირდება და არა იმუნიტეტი“, „კანონზე მაღლა არავინ დგას“ — ამ ლოზუნგებით დემონსტრანტებმა გაბრიელ ოპრიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს. ყოფილ ვიცე-პრემიერს ბრალი არაწინასწარი განზრახვით პოლიციელის მკვლელობაში ედება. პოლიციელი შარშან დაიღუპა, როდესაც ოპრიას კორტეჟს მოტოციკლით მიჰყვებოდა და ავარიაში მოყვა. სენატმა გადაწყვიტა მომხდარის გამო პოლიტიკოსის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულიყო.

დილარ ივარდავა

მეორე უსტარი სადადიანოს

პუბლიცისტური აღსარებანი, ანუ ჭეშმარიტების გზას აცდენილ მოყვარეთ

I

რა არ გასვენებთ,
რა ბუზანკალი,
თქვე ბუზი ცეცეს დანესტრილებო!
ადექით ბარემ და დრო მორკალეთ,
რომ აისრულოთ რაც გსურთ, ინებოთ!
წერილს მეორეს —
გულის დამდაგველს —
ისევე ვუძღვნი სადადიანოს,
ვხედავ ბოლო დროს ბადებს უთვლელ
გველს,
რომ ივერთ მიწამ შხამზე იაროს!
დიადი ცოტნეს მამულ-წიაღში,
მახსოვს, ქვეყანა აიეტს ანდეთ —
დღეს ვერ ვიშორებთ დამღუპველ
დარდებს
და გემის კიჩოს კლდის ქიმებს
ვაფშვნით!
დღეს აქ ძმა სწირავს თავისავ ძმასა,
უგუნურობის ცოფი მძვინვარებს,
ერთურთს ადენენ ცხვირიდან ძმარსა
და აცოცხლებენ ზიზღს უწინარე!
თავად ვარ მომსწრე უთვლელ
ღალატის —
კაციჭამიებს რომ დაემგვანეთ!
აწ სავიზიტო ზოგთა ბარათი —
ჩაყოლილი აქვს
ჩვენს ძვირფას გვამებს!..

II

მახსოვს:
ჩემს პირველ წერილს
თქვენ შეხვდით
ამრეზითა და ველური ზიზღით —
გიწერთ მეორეს — უტყუარ შეხლის
საგანს — გაქრობას საერთოდ —
ღვიძლის...
დროა მტარვალთა გადაშენების,
თუმცა უსტარი ქვასავით მიმძიმს,
მაგრამ არა ჩანს არვინ მშველელი!
მახსოვს: გაუწყეთ სააკიანთა
რაღას ნიშნავდა გულის ზრახვანი...
ბედად გათენდა, დღემ იკიანთა —
გვესმა ტახტიდან მისი ბრახვანი!
თუმცა მერე რა?
გველს ვერ გამოცვლი,
შხამიანია გველი ბოლომდის
ამ ოთხმა წელმა, ყველამ — გამოცდის
ვეღარ გაუძლო უღვთო მოლოდინს!
ფაშისტი ფაშიზმს როდის იმეტებს,
ის ხომ გენებში ჩაკირული აქვს,
ტყუილად ნუ ვდებთ ამ ხალხს
იმედებს —
გზას მიჰყვებიან, რაზეც უვლიათ!

III

კუზიანს მხოლოდ სამარე შველის,
არა შენდობა,
არა ალერსი!
ის ბოროტება ძველი და მწველი,
ამოსაძირკვი ვსახე ამ ლექსით!
მგელი — მგელია! გინდა ეფერე,
ის მუდამ ტყისკენ გახლავთ
მზირალი —
გაჩენის დღიდან ერთი შეჰფერის —
შუბლზე დახლილი ტყვია-მკივანი!
ნახეთ, მათ როგორ იხელთეს დრო და...
ისევ ანთხევენ შხამს და სამსალას,
ეგ კაცისმკვლელნი გვასმენენ ბოდვას,
მოთმენის ჟამი წყევლამ გაცვალა —
ვაი თქვენს პატრონს!
შვილნო ამების,
დრო გენატრებათ სულის მხუთავი,
თქვენ სახიერო სახევ წამების —
მოგნატრებიათ თქვენი სულთანი!
თქვენსა ფიურერს სიზმრებში ხედავთ,
ვინ დაგიწყევლათ მამა და დედა?
ვისღა უტოვებთ დღეს ჯვარცმულ
მამულს,
ვერ გაგადვიძონ უფლის ზარებმა???
ცხადზე ცხადია, თქვენს სინდის-ნამუსს
სიბრალული კვლავ არ ეკარება!
თუმც რა სინდისი,
თუმც რა ნამუსი,
ჩახედეთ მორიგ თქვენს წვა-მცდელობას,
სადადიანოს ზღვაბრულ მამულში
მეფობს სატანის შეუცვლელობა!
იმ ანტიქართველ მიშას ურია
მეუღლეს უნდა კენჭის ყრა შენთან...
კაციჭამიას სისხლი წყურია,
„ორგანოებში“ მაყუთი ფეთქავს!..
აპარლამენტეთ ეგ სისხლის მსმელი,
ის გაგაბრუებთ მეგრულ ჰანგებით —
ნამუსგარეცხილს პეპლობა შვენის —
მის გვერდით მსჯავრზე,
ალბათ, წარსდგებით?

IV

სანდრას ტაშს უკრავს სადადიანო,
მეგრთა შვილების ვისა აქვს დარდი?
ჭირი შეგყრიათ, ჭირთა ზიარნო,
მაგ უჭკუობით ლანდი რომ გაგდით!
სანდრა ჰყავთ თურმე გულის მურაზად,
არვინ ჩანს ჭირის გონთან მიმტანი,
როგორ ემსგავსა ყველა მურა ძაღლს,
ვინც მომხრე არის მიშა „ტიტანის“.
ვაი თქვენს პატრონს, გაყიდულებო!
კოლხთა დიდების იავარმქნელნო,
ჯიხვთა რქებო და ცხვართა დუმებო,
...დიდო ლეგენდავ, ტკივილო ჩვენო,
ნუთუ იმგვარად დაპატარავდი,
გადაგავიწყდა შენი დიდება,
მოღალატეთა გიდგას პარადი,
შენი მერმისი მწუხრით ბინდდება?!
როდისღა უნდა გამოიღვიძო,
რაც შენთან ხდება, შეიგნებ როდის?
ტკივილო ჩემო, სულო და ღვიძლო,
წაბილწვისათვის მე გიხდი ბოდიშს:
რას კადრულობენ წყეულნი, ზოგნი,
მონები დღიურ ყოფის და გროშის,
როდის იქნება ნაცისტთა ბოგინს
ბოლო მოეღოს სამეგრელოში?!

P. S. ვიტოვებ იმედს —
გულის ბოლო ძაფს,
ოდიში სირცხვილს რომ არ მარგუნებს
და რვა ოქტომბერს
(შეხლას მძაფრზე მძაფრს)
თქვენში სიმართლე დაისადგურებს.

უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს

თსუ-ს რექტორი გია შარვაშიძე გახდა. შარვაშიძეს აკადემიურის საბჭოს წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. არჩევნებში მონაწილეობა საბჭოს 36-ვე წევრმა მიიღო. საარჩევნო პრცესი 2 საათზე დაიწყო და დაახლოებით 1 საათში დასრულდა.

„თურქული სკოლა თავდაპირველად თურქეთის მოქალაქეებისთვის იქნება, აკრედიტაციის გავლის შემდეგ კი — საქართველოს მოქალაქეებისთვისაც“

„ბათუმის სკოლაზე გარკვეულწილად მესიჯები არასწორად გავრცელდა. ჩვენ ბათუმის სკოლასთან დაკავშირებით კომუნიკაცია თვეებია, უკვე გვაქვს. გვქონდა შეთანხმება თურქულ მხარესთან და ეს შეთანხმება დღესაც გვაქვს. გუშინაც ვესაუბრე ელჩს და გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია, რომ ეს სკოლა განვავითაროთ ერთად. ის იქნება თურქეთის მოქალაქეებისთვის ამ ეტაპზე, შემდეგ ის იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის, მას შემდეგ, რაც გაივლის აკრედიტაციას და გახდება ჩვენი სისტემის ნაწილი“, — განაცხადა განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი სამი წლის გახდა

უფროსი სერჟანტის ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრს დაარსებიდან სამი წელი შეუსრულდა. ცენტრის პირად შემადგენლობას იუბილე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მიულოცა. საზეიმო ცერემონია წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრის „კრწანისის“ საწვრთნელ ბაზა „ალგეთში“ გაიმართა.

ცენტრის პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და სამშვიდობო მისიებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. გენერალური შტაბის უფროსმა ცერემონიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და მომავალ კარიერაში წარმატებები უსურვა.

„მიხარია, რომ ახალ ქართველ სამხედროებს შევხვდი. დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად რთული პროგრამისა, ყველა მათგანი ბოლომდე მიაღწევს. ცენტრი უნარიანი სერჟანტებით და ოფიცრებითაა დაკომპლექტებული. მათ აქვთ ჯარისკაცთან მუშაობის გამოცდილება. სასიხარულოა, რომ ხუთას კაცში თოთხმეტი ქალბატონია და მათი შემართება დასაფასებელია. ეს ხალხი არის ძალა, რომელმაც უნდა შეავსოს პროფესიულ სამხედრო მოსამსახურეთა რიგები“, — აღნიშნა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

თბილისს ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს გენმდივანი ესტუმრა

თბილისის მერი დავით ნარმანია ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს გენერალურ მდივანს, დოქტორ პოლ სმიტს შეხვდა. თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრას მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი ნინო სულხანიშვილი და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე დაესწრნენ.

შეხვედრაზე საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის განვითარების გრძელვადიანი გეგმის მომზადებაზე ისაუბრეს და ამ მიმართულებით საერთაშორისო მხარდაჭერის ცალკეული საკითხები განიხილეს. დავით ნარმანიამ გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს გამოცდილების გაზიარებაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, საბჭოსთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ისეთი პროექტების წარმატებით განხორციელებას, რომელიც ბაღს განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების გაზრდის შესაძლებლობას მისცემს.

სისხლის ბანკებს უანგაროდ ეხმარებიან

სისხლის უანგარო დონორობის თემაზე საინფორმაციო კამპანია გრძელდება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, სპეციალური შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ბიზნესსექტორის და სახელმწიფო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიმღები პირები დაესწრნენ. სპეციალური ტრენინგის მიზანია, ფართოდ გავრცელდეს ინფორმაცია უანგარო დონორობის თაობაზე და სხვადასხვა უწყებებმა მიიღონ ინფორმაცია, როგორ უნდა ჩაებან უანგარო დონორობის ღონისძიებებში კორპორატიული ღონისძიებების დაგეგმვის გზით.

„ჩვენ საკმაოდ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვატარებთ არამხოლოდ სისხლის ბანკების დასახმარებლად და საჭირო რესურსების მოსაზიდად, არამედ საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლადაც. ვხედავთ, რომ ყოველი ჩვენი აქტივობის შედეგად ადამიანებს უჩნდებათ სურვილი, გახდნენ უანგარო დონორები, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საქმე, რომელსაც ვემსახურებით, სწორად ვითარდება. განვითარების ეს ტემპი ცხადია, შენარჩუნდება და არ გავჩერდებით მანამ, სანამ საქართველოც არ ჩაიწერება იმ ცივილიზებული ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც სისხლის პროდუქტების აბსოლუტური უმრავლესობა უანგარო დონორობით არის შეგროვებული“, — განაცხადა ორგანიზაცია „არტინფო-საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა ზედელაშვილმა.

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფი შედგება ტრანსპორტირების, განაწილების ლიცენზიატისა და მიმწოდებლის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი, რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას) და მასთან გააფორმოს ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა მომხარებელს არ შეუძლია. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით მომხმარებლის მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ბუნებრივი გაზის ნებისმიერ მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ მომხმარებლის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მიმწოდებელთან ურთიერთობა, რომელიც მას ამჟამად აწვდის ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1-ში მომხმარებლისთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*). შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2016 წლისთვის

ცხრილი N1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი"	ქ.თბილისი, ქიზიყის ქ. №13;	0(32) 294 54 30	არასაყოფაცხოვრებო 4 755 000	არასაყოფაცხოვრებო 69.233 – 73.833
2	შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი"	მიცკევიჩის ქ.№18ა;	114 0(32) 220 04 04 faqsi 0(32) 237 64 93 ტელ.0(32)237 63 80 support@ktg-tbilisi.ge	საყოფაცხოვრებო 513 000 000 არასაყოფაცხოვრებო 214 000 000	საყოფაცხოვრებო - 25.721 არასაყოფაცხოვრებო 50.619 – 70.383
3	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"	ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ.№24;	16 114 114	საყოფაცხოვრებო 256 534 091 არასაყოფაცხოვრებო 96 317 260	საყოფაცხოვრებო 25.704 – 39.887 არასაყოფაცხოვრებო 38.804 – 69.772
4	სს ,,საქორგგაზი"	ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №13;	2 54 94 30	საყოფაცხოვრებო 6 745 103 არასაყოფაცხოვრებო 4 566 399	საყოფაცხოვრებო – 26.381 – 31.0 არასაყოფაცხოვრებო 53.932 – 66.644
5	სპს ,,მღებრიშვილი"	გურჯ. რ–ნი, ს. ველისციხე, 9 აპრილის ქ.№31;	595 15 39 10 veligaz111@mail.ru	საყოფაცხოვრებო 1 070 000 არასაყოფაცხოვრებო 30 000	საყოფაცხოვრებო – 26.382 არასაყოფაცხოვრებო – 73.967
6	სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№74ბ;	0(32) 291 53 15(115)	საყოფაცხოვრებო 8 250 000 არასაყოფაცხოვრებო 45 750 000	საყოფაცხოვრებო – 26.382 არასაყოფაცხოვრებო 61.97 – 74.49
7	შპს ,,სართიჭალის გაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ.სართიჭალა, კოსტავას ქ.№145;	0(790) 47 55 77; 591 97 77 57; sartichalisgazi@mail.com	საყოფაცხოვრებო 2 700 000 არასაყოფაცხოვრებო 650 000	საყოფაცხოვრებო 26.38 – 28.11 არასაყოფაცხოვრებო 67.42 – 74.62
8	სს ,,ენერგოკავშირი"	ქ. თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპ. №13	0(32) 264 28 69 599 97 28 18 energokavshiri@caucasus.net	საყოფაცხოვრებო 9 800 000 არასაყოფაცხოვრებო 700 000	საყოფაცხოვრებო – 26.382 არასაყოფაცხოვრებო – 59.855
9	შპს ,,გოგოჭური და კომპანია"	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება;	592 80 40 10 etupuria@mail.com	არასაყოფაცხოვრებო 3 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 69.15
10	შპს ,,არზუ-გაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ.ვახტანგისი;	599 16 03 56	საყოფაცხოვრებო 300 000	საყოფაცხოვრებო – 26.382
11	სს ,, საჩხერეგაზი"	ქ. საჩხერე. თამარ მეფის ჩიხი №8;	8(435) 22 51 15 sachkeregazi@yahoo.com	საყოფაცხოვრებო 4 550 000 არასაყოფაცხოვრებო 2 500 000	საყოფაცხოვრებო 24.665 – 38.05 არასაყოფაცხოვრებო 80.59 – 85.51
12	შპს ,,აჭარის ბუნებრივი აირი"	ქ. ბათუმი, ჯინჭარაძის №14;	0(422) 27 76 46 577 76 76 98	საყოფაცხოვრებო 60 000 არასაყოფაცხოვრებო 600 000	საყოფაცხოვრებო 26.383 – 35.086 არასაყოფაცხოვრებო 69.238 – 73.339
13	შპს ,,გამა"	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67;	0(32)224 25 90. nininikuradze@yahoo.com	არასაყოფაცხოვრებო 1 500 000	არასაყოფაცხოვრებო 88.79 – 91.5
14	შპს ,,ყამარი მ"	ქ. თბილისი, მუხიანი 2, გამარჯვების ქ. №2;	595 25 05 00 595 13 32 33 555 17 85 10 557 76 90 87	საყოფაცხოვრებო 1 850 000 არასაყოფაცხოვრებო 150 000	საყოფაცხოვრებო – 26.48 არასაყოფაცხოვრებო – 63.77
15	შპს ,, ვარკეთილაირი"	ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, სოფ. პატარა ლილო;	0(32)227 50 40 577 37 30 33 varketilairi@gmail.com	საყოფაცხოვრებო 14 000 000 არასაყოფაცხოვრებო 800 000	საყოფაცხოვრებო – 27.431 არასაყოფაცხოვრებო – 72.0
16	შპს ,,დიდი დიღომი"	ქ.თბილისი, დიდი დიღომი დ. თავდადებულის ქ. №22;	0(32) 253 34 36, info@didi-digomgaz.ge	საყოფაცხოვრებო 10 500 000 არა საყოფაცხოვრებო 500 000	საყოფაცხოვრებო – 27.431 არასაყოფაცხოვრებო – 69.72
17	შპს ,,ტაბა"	ქ.თბილისი, ტაბახმელა;	599 94 59 03 593 22 99 61	საყოფაცხოვრებო 320 000 არასაყოფაცხოვრებო 22 800	საყოფაცხოვრებო - 27.44 არასაყოფაცხოვრებო – 64.915
18	შპს ,, დივიესი"-ი	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა;	551 18 90 66	საყოფაცხოვრებო 10 000 არასაყოფაცხოვრებო 860 000	საყოფაცხოვრებო – 26.377 არასაყოფაცხოვრებო 69.746 – 78.746
19	შპს ,, ენერგია +"	ქ. ქუთაისი, ზ.გამსახურდიას ქ №58;	577 90 06 62	არასაყოფაცხოვრებო 2 500 000	არასაყოფაცხოვრებო – 66.3
20	შპს ,,გასკო+"	სენაკი, წმ. ნინოს ქ. №1;	114 (0 413 27 89 14) gaskopliusi@mail.ru	საყოფაცხოვრებო 2 000 000 არასაყოფაცხოვრებო 1 500 000	საყოფაცხოვრებო – 26.382 არასაყოფაცხოვრებო – 63.415
21	შპს ,,აკრიანი 2006"	გარდაბანი, ს. მარტყოფი;	595 58 65 86	საყოფაცხოვრებო 534 350 არასაყოფაცხოვრებო 22 802	საყოფაცხოვრებო – 26.383 არასაყოფაცხოვრებო - 72.149
22	შპს ,,ჩირაღდანი XXI საუკუნე"	ქ. თბილისი, ქეშურიას ქ.№59;	0(32) 254 12 37	საყოფაცხოვრებო 1 949 888 არასაყოფაცხოვრებო 150 800	საყოფაცხოვრებო - 27.43 არასაყოფაცხოვრებო – 73.05
23	შპს ,, ვერსალი"	სიღნაღის რ-ნი, სოფ.ბოდბე;	599 77 33 20	საყოფაცხოვრებო 680 000 არასაყოფაცხოვრებო 10 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო – 72.992
24	შპს ,,წალკაგაზი"	ქ.წალკა, ხრამჰესის ქ. №8;	0(363) 22 10 41 vaferian44@mail.ru	საყოფაცხოვრებო 230 000 არასაყოფაცხოვრებო 320 000	საყოფაცხოვრებო - 26.4 არასაყოფაცხოვრებო – 70.8
25	შპს ,,ბორჩალო+"	ქ. თბილისი, თემქა, მე–11მ/რ, კორპ.16, ბინა 13;	599 92 35 45	საყოფაცხოვრებო 235 000 არასაყოფაცხოვრებო 15 000	საყოფაცხოვრებო – 26.38 არასაყოფაცხოვრებო – 82.81
26	შპს ,,ეს ჯი გაზ კომპანი"	ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.№100;	599 32 53 98	საყოფაცხოვრებო 14 500 000 არასაყოფაცხოვრებო 3 500 000	საყოფაცხოვრებო – 26.4 არასაყოფაცხოვრებო – 78.8
27	შპს ,,ჩირაღდანი"	ლაგოდეხი სოფ. ცოდნისკარი;	599 91 38 93	საყოფაცხოვრებო 200 000	საყოფაცხოვრებო 26.382
28	შპს ,,ვაკე"	ქ. თბილისი ელ.ახვლედიანის ქ. №30;	591 25 18 52 ltdvake@mail.ru	საყოფაცხოვრებო 450 000 არასაყოფაცხოვრებო 100 000	საყოფაცხოვრებო 27.432 – 30.198 არასაყოფაცხოვრებო – 75.105
29	შპს ,,მამედ	მარნეული სოფ. ყიზილაჯლო;	577 42 64 75 mamed1947@mail.ru	საყოფაცხოვრებო 1 300 000 არასაყოფაცხოვრებო 305 000	საყოფაცხოვრებო 26.864 – 33.397 არასაყოფაცხოვრებო – 75.169

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** მიმწოდებელის მიერ მომხმარებლის თითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებულ მიწოდების ზღვრულ ფასებში (ქვედა და ზედა ზღვარი) შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (ამ ფასში არ შედის განაწილების ან/და გატარების მომსახურების ტარიფი). ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების მოქმედი ტარიფები დადგენილია „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულიერებლი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №19; ტელ: +995 032 2 42 01 80

ხალხი გვეუბნება – ასე ცხოვრება აღარ შეიძლება

წინასაარჩევნო პერიოდი სოციალური დემაგოგიის აპოგეაა

12 აგვისტოდან, დიდგორობიდან მოყოლებული, ყოველ პარასკევს გამოქვეყნებულ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მასალებს დიდი გამოხმაურება აქვს. ეს განსაკუთრებულად, ხალხთან შეხვედრების დროს იკვეთება. ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს იყოს ხალხის აზრისა და მეცნიერული კვლევის სინთეზი.

ჩვენ ძალიან გვაფიქრებს ის განწყობა, რომელიც ხალხშია. გვიხარია, რომ ხალხი გულახდილად გველაპარაკება, მაგრამ ყოველი შეხვედრიდან გამოვდივართ დანაღვლიანებულნი იმ მდგომარეობის გამო, რომელშიც ხალხი ცხოვრობს. მეორე მხრივ, ხალხი აღშფოთებულია იმ ანალიზებით, რასაც ჩვენ ვაქვეყნებთ. დაუჯერებლადაც კი ეჩვენებათ ის დემოგრაფიული სურათი, რომელიც ჩვენ წინა ნომერში წარმოვადგინეთ. ხალხმა რეალურად დაინახა საშუამავლო ფირმების დამანგრეველი ქმედებები და გვთხოვს, არ შევაჩეროთ ვითარების ანალიზიც და რაც მთავარია, ბრძოლა ამ უბედურების წინააღმდეგ. ითხოვენ ხელისუფლებაზე ზეწოლის გაძლიერებას, რათა ხელისუფლებამ რეალურად შექმნას კონკურენტული გარემო და მეგობრებსა და ნათესავებს არ მისცენ პრივილეგიები სამეწარმეო პროცესში.

ხალხი ითხოვს რეალურ მოქმედებას გათავხედებული ბანკირების წინააღმდეგ.

ჩვენ ვასრულებთ რა მათ თხოვნას, სწორედ იმიტომ ვაქვეყნებთ **„სამართლიანობის მანიფესტს“**. ჩვენ ამ დოკუმენტით ხალხის განწყობასაც ვადასტურებთ და მომავალ მთავრობასაც ვეუბნებით: კარგია, რომ გინდათ, იყოთ ხელისუფლებაში, მაგრამ იცოდეთ, შესასრულებელია ის, რაც ამ დოკუმენტში წერია. მას ასევე შემთხვევით როდი ჰქვია **„ღირსების ულტიმატუმი“** , საქართველოს თითოეული მოქალაქის ღირსების საქმეა, ბრძოლა და თავდადება მომავლის საქართველოსათვის, მაგრამ ხელისუფლებამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ის ხალხის ულტიმატუმია.

ჩვენ შეგნებულად არ წარმოვადგენთ ბევრ ანალიზს, რომელიც უკვე გვაქვს. ველოდებით არჩევნების დასრულებას ... ველოდებით არჩეული პარლამენტისა და მთავრობის ახალი შემადგენლობის პროგრამულ განცხადებას, რომელმაც ასახვა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტშიც უნდა ჰპოვოს.

ხალხმა ბევრი რამ არ იცის და ზოგჯერ აქებს იმას, რისთვისაც ხელისუფალთ პასუხს უნდა სთხოვდეს. ვაქებთ ჯანმრთელობის სამინისტროს საქმიანობას, თითქოს, მედიკამენტების ბაზარზე არსებული მდგომარეობა მასთან კავშირში არ არის... თითქოს მას არ ეხება, რა უჯდება ადამიანს ექიმთან ვიზიტი და დიაგნოსტიკა. ზედაპირული ანალიზითაც ნათელია, რომ მედიკამენტების ბიზნესით, საქართველოს ბიუჯეტში შესული თანხა გაცილებით მეტია, ვინემ სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებაზე ხარჯავს.

ჩვენ ვითხოვთ ხელისუფლებისაგან, უშუალოდ ფინანსთა სამინისტროსაგან, გამოქვეყნდეს საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების დეტალური, დარგობრივი სტრუქტურა. დარწმუნებული ვართ, ხალხი როცა ნახავს, საიდან ივსება საქართველოს ბიუჯეტი, ფიქრს სხვანაირად დაიწყებს.

არჩევნებიდან არჩევნებამდე ქვეყანა სიცრუით ცხოვრობს. ბევრჯერ მოატყუეს, ატყუებენ დღესაც. წინასაარჩევნო პერიოდი სოციალური დემაგოგიის აპოგეაა. ტრაგედია ის არის, რომ რამდენჯერაც მოატყუეს, მომტყუებელი იმდენჯერ გამდიდრდა და მოტყუებული იმდენჯერ გაღარიბდა. ვაღიაროთ, რომ ჩვენ, მეცნიერებს არ გვეყო ნება და, როგორც ჩანს, არ აღმოგვაჩნდა პასუხისმგებლობა, იმის ძალა, რომ გვერდით დავდგომოდით მათ, ვისაც ატყუებდნენ, ანუ საკუთარ თავს და შევწინააღმდეგებოდით იმ სახელისუფლებო თუ პოლიტიკურ გუნდებს, რომლებიც უკადრებელს კადრულობდნენ ხალხის წინააღმდეგ.

უცნაურია ლაპარაკი წარმატებულ ეკონომიკაზე იმ ქვეყანაში, სადაც ბიუჯეტში მრეწველობიდან უშუალოდ, რამდენჯერმე ნაკლები შედის, ვიდრე მედიკამენტების ბიზნესიდან.

პირდაპირ ვთქვათ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაჭირვებისაგან მართლაც გმინავს. აშკარაა, რომ ქართულ სულს, ქართულ ცნობიერებას, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას უფრო დიდი მტერი არ ჰყავს, ვინემ ქვეყნის უმეტეს ოჯახებში გამეფებული გაჭირვება. დამთრგუნველ ლაპარაკს მოისმენ ამ ოჯახებში, ისინი მზად არიან ყველაფრის დასათმობად, ოღონდ ოდნავ მაინც შეიმსუბუქონ ეს გაჭირვება.

რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს ოქტომბრის არჩევნები, ჩვენს საინიციატივო ჯგუფში ერთი განწყობა უცვლელი და მყარია: ასე ცხოვრება მართლაც, აღარ შეიძლება. ჩვენ შემთხვევით არ ვამკვიდრებთ პრინციპს: ქვეყანას მართავს ხელისუფლება – ხელისუფლებას ირჩევს და შემდგომში მართავს საზოგადოება – საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.

ჩვენ ხალხთან ერთად დიდი პროცესი დავიწყეთ და გამარჯვებამდე გაჩერებას არ ვაპირებთ. სასურველია, ეს გამარჯვება იყოს ხელისუფლებასთან ერთად. ჩვენ ეს გვინდა, სიტყვა ხელისუფლებაზეა!

ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას

ამ განწყობით დამთავრდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს პირველი უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის პირველი შეკრება.

ძალიან კარგია, რომ შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შეძლო პირველივე შეკრებაზე თორმეტამდე დეპუტატისა და იმდროინდელი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლის მოსაზრების მოსმენა.

ეს იყო უაღრესად გულახდილი, ქვეყნისთვის გულანთებული ადამიანების ტკივილიანი საუბარი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე.

„ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია და ის, რაც დღეს ხდება, არ არის 1990 წელს ერთ ეროვნულ მუშტად შეკრული საქართველოს გაგრძელება - ასეთია ჩვენი პოზიცია და სწორედ ამიტომ, ის განწყობა, რომელიც ჩამოყალიბდა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფში „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“, ჩვენთვის მისაღებია. ვუერთდებით ამ განწყობას და ვიწყებთ ქმედებებს იმისთვის, რომ 28 ოქტომბერს, შევიკრიბოთ როგორც პირველი პარლამენტის, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომი პარლამენტების წევრები (ვინც სკამზე არ გაცვალა იდეა) და პირდაპირ ვიმსჯელოთ არა მარტო დღევანდელობაზე, არამედ მომავლის საქართველოზე“ – აღვნიშნეთ იქ შეკრებილმა დეპუტატებმა: პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ, პროფესორმა თამაზ ყურაშვილმა, მეცნიერებათა დოქტორებმა: გურამ ისაკაძემ, ფირუზ დიაკონიძემ, ნოდარ ნონიაშვილმა, გელა გოგოლაძემ, ლადო ცოფურაშვილმა, ალექსი არაბულმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა თემურ შაშიაშვილმა, კავკასიოლოგმა ავთანდილ ვერძეულმა, ეროვნული აკადემიის წევრებმა გია სუბელიანმა და დავით კუპატაძემ.

ჩვენ ვაგრძელებთ ყოველკვირეულ შეხვედრებს. ვიკრიბებით „ქართული ერთობის დარბაზის“ ოფისში (ღამბაშიძის ქ. 4) **ყოველ პარასკევს, 17 საათზე.**

დიდი მადლობა ტელევიზია **„ქართული TV“**-ის ხელმძღვანელობას, რომელმაც მიიღო ჩვენი წინადადება, რომ გვქონდეს ყოველკვირეული გადაცემა. მომდევნო პარასკევის შეხვედრაზე ჩვენ ამ გადაცემის სტრუქტურასა და შინაარსზე შევთანხმდებით და უახლოეს პერიოდში დავიწყებთ კიდეც.

საინიციატივო ჯგუფის შექმნის დროს ვთქვით: „ნუთუ, ჩვენ ასეთი საქართველოსთვის ვიბრძოდით?! **რატომ** დაიწყო პოლიტიკური თამაში უზენაესი საბჭოს ბევრმა წევრმა? **რატომ** მიატოვა დასავლეთმა და ამერიკამ ეროვნული ძალები ქვეყანაში, **რა მოხდა?** საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა, მისი დაშლის შემდგომ, პრაქტიკულად, ომი სწორედ ეროვნულ ძალებს გამოუცხადეს.

ეს და ბევრი საკითხია, რომელთა ანალიზი მომავლის საქართველოსათვის საჭიროა. სწორედ ამიტომ შეიქმნა ამ შეხვედრების საორგანიზაციო-საინიციატივო ჯგუფი.

ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერთა პოზიციას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტში იყვნენ ღირსებით სავსე ადამიანები, რომელთა უმრავლესობა განერიდა პოლიტიკას სწორედ იმის გამო, რომ პარტიებში ზნეობის სერიოზული დეფიციტი გაჩნდა. უფრო მეტიც, მე (და არა მარტო მე) მიმაჩნია, რომ ზნეობის დეფიციტი იყო და არის ხელისუფლებაშიც, ეროვნულ მოძრაობაშიც, ზოგადად პოლიტიკაშიც.

სწორია პოზიცია, რომ ჩვენ ხალხთან ერთად უნდა გავაანალიზოთ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტის შემადგენლობა, ვეძებოთ მომავლისათვის საჭირო ადამიანები, ალბათ, არა მარტო პარლამენტში. დღემდე არსებული ყველა პარლამენტის წევრებისაგან შეიქმნება ასამბლეა, რომელიც მიზნად დაისახავს, დაეხმაროს ეროვნულ განწყობას და ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის გაძლიერებას.

მართლაც, სასურველი იქნება, რომელიმე ტელევიზიით (კარგი იქნება, თუ მეორე არხზე), რეგულარულად გადაიცემა ასამბლეის სხდომები. მომავალში ეს ჩვენ თაობათა ერთიანობისათვის და პოლიტიკური მემკვიდრეობითობის ტრადიციის დამკვიდრებისთვისაც დაგვჭირდება.

ნუგზარ შავთვალაძე,
საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი (სიგნატორი), საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ინოვაციური ტექნოლოგიები და პრეპარატები“ ხელმძღვანელი

რწმენადაკარგული, დაღლილი ერი გადასარჩენია

წერილი ზესტაფონიდან

სამშობლოს გადარჩენის იმედით მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს ეროვნულილ თანხმობის პარლამენტისათვის

ბატონებო, ხომ ამისრულეთ სანუკვარი ოცნება ოთხმოცი წლის გადასახედიდან, დიდება თქვენს ჩანაფიქრს, სამშობლოს გადარჩენის ბრძოლის გზაზე. არ შევუდგები იმის შეხსენებას, თუ რა მნიშვნელოვან ფაქტს ჩაჰკიდეთ ხელი. როდესაც ერი გაურკვეველი რაღაცის მოლოდინშია, ერმა საკუთარი თავის რწმენა დაკარგა და ლერწამივით ქანაობს ვიღაცის ან რაღაცის მოლოდინში. ბეკეტის, „გოდოს მოლოდინივით“ სულ მოლოდინშია დაღლილი და ნახევრად დაძაბუნებული ერი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 26 აგვისტოს ნომერში თქვენ მადლობას უხდით ყველას, ვინც საფუძვლიანად ეცნობა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ნააზრევს, ვინც შეძლებს, რომ სხვაც დაინტერესოს. მგონი, მე ეს შევძელი (მიუხედავად მძიმე ავადმყოფობის და ხანდაზმულობისა) და მადლობაც დავიმსახურე, თუმცა არა თქვენ, მადლობა ამ ჯგუფს. ვიზიარებ რა თქვენს ნააზრევს, ერთი პატარა რჩევა მინდა შემოგთავაზოთ (გამორიცხეთ, რომ ჭკუას გარიგებთ)

ადამიანი, სამწუხაროდ, ფილოსოფიური აზრით ჯერ ბოლომდე შეუცნობი არსებაა. თქვენ მიერ ჯერჯერობით ათასი და ვინ იცის, კიდევ რამდენი ათასი აღმოჩნდება იმ დიდებულ ადამიანთა სიაში, ვისი იმედი უნდა გვქონდეს. ეს რაღაც შიშს ხომ არ იწვევს ახალი პატრიოტების, ახალი დემოკრატების, ახალი ვაიპოლიტიკოსების გამოჩენის. ადამიანის, როგორც თავისებური ფემომენის, არსაიდან გამომდინარე, ამ სიებით გატაცებას, ხომ არ აჯობებდა, იკისროთ ჩიხიდან მეცნიერული მიგნებებით გამოსავალი?

არადა, რწმენადაკარგული, დაღლილი ერი, გადასარჩენია. მე მენანება, ასე რომ ვახსენებ სხვადასხვა დროს, პირისაგან მიწისა აღსაგველად განწირულ, მაგრამ სასწაულებრივად ფენიქსებრ გადარჩენილ დიდ წინაპართა სიყვარულს – ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასალის, ფარსმან ქველის, ბაგრატ მეხუთის და დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, მღვდელი თევდორისა და ცოტნე დადიანის შთამომავალთა მიერ გადარჩენილ ერზე რომ ვლაპარაკობ, რითაც ვამაყობ და უნდა იამაყოს შთამომავლობამ, ჩვენ 21-ე საუკუნის მეცნიერთა ნიჭიერთა კოჰორტამ უნდა იკისროს ეს მისია. – გადავარჩინოთ ერი!!!

ნინო (ნუცა) არდაშელია,
აკადემიკოსი, აფხაზეთიდან დევნილი

ხალხი გვეკითხება – ჩვენ ვპასუხობთ

გაზეთში მასალების გამოქვეყნების დაწყებამ, პარალელურად, მოსახლეობასთან შეხვედრებმა, უამრავი ისეთი კითხვა გააჩინა, რასაც ნამდვილად არ ველოდით. აღმოჩნდა, რომ საქართველოში არის რაიონები, სადაც გაზეთი ქსელში საერთოდ არ შედის. საოცარია.

გორიდან გვირეკავს პროფესორი და გვეუბნება: დამეხმარეთ, გამოვიწერო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელშიც ყოველ პარასკევს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მასალები ქვეყნდება და გაზეთი, რომელიც განსაკუთრებულად საინტერესო გახდა ბოლო პერიოდში. ასეთი შეფასება ბევრგან მოვისმინეთ. გასაოცარია, 21-ე საუკუნეში ადამიანს აქვს გაზეთის გამოწერის პრობლემა.

უამრავი ადამიანი გვირეკავს და გვეუბნება, როგორ და სად ვნახოთ „ქართული TV“-ის გადაცემები. როგორც ჩანს, ამას ის ადამიანები გვეკითხებიან, ვისაც არა აქვს „სილქნეტი“, „სუპერტვ“ , „დელტაკომი“ „ერა“.

ცნობილმა კლასიკოსმა მწერალმა გურამ დოჩანაშვილმა, სინანულით აღნიშნა, რომ მისი ოჯახი ვერ უყურებს „ქართული TV“-ს, ვინაიდან „მე-7 არხს“ არ აქვს ჩართული ეს ტელეარხი.

არაერთგზის ვთქვით და ვიმეორებთ: „ქართული TV“ -ს სათავეებთან საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები დგანან. სწორედ მათი სახელით, არაერთგზის ვთხოვეთ საკაბელო ტელევიზიებს, რომ დაგვხმარებოდნენ ჩვენი გადაცემების მოსახლეობისთვის მიწოდებაში.

იმედით ვართ, რომ ყველა რაიონში შევა გაზეთები და მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკა“ და ყველა საკაბელო არხი ჩართავს „ქართული TV“-ს. თუ ეს უახლოეს პერიოდში არ მოხდება, მაშინ, მოსახლეობას ვურჩევთ, გადავიდნენ „სილქნეტზე“, „სუპერტვ“-ზე, „დელტაკომსა“ და „ერაზე“.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ინტერესებშია, რომ საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში, ყველა დასახლებულ პუნქტში ხელმისაწვდომი გახდეს ქართული პრესა და ყველას ჰქონდეს საშუალება, უყუროს ტელევიზია „ქართულ TV“-ს, რამეთუ ყოველი კვირის ორშაბათს, 20.00 საათზე აქ პირდაპირ ეთერში მიდის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის გადაცემა, „ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პრესსამსახური

სამართლიანობის მანიფესტი – ღირსების ულტიმატუმი

ხელისუფლების **უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა, უზრუნველყოს ადამიანისათვის ბუნებით ბოძებული სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების დაცვა, შეუქმნას მოქალაქეებს ადამიანური არსებობის პირობები. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ (ან არ) აკეთებს, საკუთარ თავს აყენებს კონსტიტუციის გარეთ.**

„არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა“ — ეს არის სახელმწიფოში შინაგანი საზოგადოებრივი, ჭეშმარიტი მშვიდობის დამკვიდრების უპირველესი და აუცილებელი მოთხოვნა. სამართლიანობის შეგრძნების გარეშე, მოქალაქე ვერ იქნება კანონმორჩილი, სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების რეალიზებაზე ორიენტირებული; სახელმწიფოს ინტერესების ერთგული და განხორციელებისთვის მოტივირებული.

უსამართლო გარემოში ყველა პარტიას, ყველა ხელისუფალს თავისი სიმართლე აქვს, ყველა მართალია — ხალხი კი დასჯილია და ქვეყანა ინგრევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ რამდენიმე წელია, ვითხოვთ დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული ნეგატიური პროცესების გამოძიებას, დამანგრეველი ძალების რეალურ გამოვლენას და მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

ღრმად გვწამს, რომ 1991-92, 2003, 2007, 2008 წლების; 7 ნოემბრის, 8 აგვისტოს, 26 მაისის პერიპეტიების სამართლებრივი შესწავლა შექმნის სახელმწიფოში სამართლიანობის დადგენის პროცესის დაწყების კარგ პრეცედენტს.

ჩვენ ვსაუბრობთ არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენაზე, არამედ და, უპირველესად, სამართლიანობის დადგენაზე. რადგან პირველი მეორის მცირე ნაწილია. ჩვენთვის სამართლიანობა — ეს არის ღირსებადადებული ქვეყანა, ღირსებადადებული ადამიანი, ღირსებადადებული ენა, ღირსებადადებული მიწა, ღირსებადადებული ეროვნული ცნობიერება, ღირსებადადებული ეროვნული სიმდიდრე და ის ხელისუფლება, რომელიც ამისთვის იბრძვის ხელისუფლება, რომლისთვისაც ადამიანი არის მიზანი და სხვა ყველაფერი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად. ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაში ქმნის კონკურენტულ გარემოს და იღებს პასუხისმგებლობას, რომ ადამიანი იყოს დაცული. ხელისუფლება, რომელსაც არ აქვს თავისი ხალხის ვალი ან თუ აქვს, იმის ღირსებაც გააჩნია, გადასახადის მოთხოვნამდე, ვალის დაბრუნების პირობები მაინც შესთავაზოს ხალხს.

სამართლიანობა არის მაშინ, როცა ადამიანები იბრძვიან არა არსებობისათვის, როგორც ეს დღეს არის საქართველოში, არამედ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, როგორც ეს არის რეალური დემოკრატიის ქვეყნებში.

„სამართლიანობის მანიფესტში“ ჩამოყალიბებული საკითხები უპირველესად არის მოსაგვარებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე და გადაუდებლად გადასაწყვეტი

1. მომავალი წლის პირველი იანვრიდან —

- **პენსია ;**
- **მინიმალური ხელფასი;**
- **ლტოლვილთა შემწეობა;**
- **უმუშევართა შემწეობა;**
- **სტიპენდია.**

გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. საარსებო მინიმუმი განისაზღვროს დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ მსოფლიოში მიღებული პრინციპების საფუძველზე;

2. დადგინდეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სახელმწიფო დაწესებულებებში გასაცემი მაქსიმალური ხელფასი არ შეიძლება იყოს მინიმალურზე (მათ შორის პენსიაზე) 20-ჯერ მეტი;

3. მოხდეს პოლიტპატიმრების უპირობო განთავისუფლება;

4. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აუცილებელ მოთხოვნებად განისაზღვროს:

- **განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტული დაფინანსება.**
- **სტუდენტის მიერ სწავლისათვის გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს სწავლის ღირებულების 10%-ს.**
- **უზრუნველყოფილი იქნას საბავშვო ბაღების სრული სახელმწიფო დაფინანსება კონტინგენტის ლიმიტირების გარეშე.**
- **მოსახლეობის სრული და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა.**
- **სოფლის მეურნეობისთვის საქართველოს ბიუჯეტის მინიმუმ 10%- ის გამოყოფა.**
- **მცირე ბიზნესისა და დასაქმების პროგრამებისათვის საქართველოს ბიუჯეტის 10% — ის გამოყოფა.**

5. აღიარებული იქნას საკუთრების ხელშეუხებლობა. მოხდეს წართმეული ქონების უპირობოდ დაბრუნება.

6. საზოგადოებრივი ტელევიზია დაუბრუნდეს საზოგადოებას.

7. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე ლიცენზიების გაცემა და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია.

8. ყოველთვიურად გამოქვეყნდეს ყველა დონის (სახელმწიფო, მხარე, ქალაქი, რაიონი) ბიუჯეტში შესული თანხების მოცულობა, წყაროები და სრული ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.

9. ექსპერტთა მონაწილეობით (პარიტეტულ პრინციპებზე) შესწავლილი იქნას : პურზე, შაქარზე, პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, მედიკამენტებზე, ტრანსპორტზე, სატელეფონო მომსახურებაზე, საწვავზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე დაწესებული ფასების საფუძვლიანობა (ზედაპირული ანალიზითაც ჩანს, რომ ზრდა ხელოვნურია და რეალური კონკურენციისა და რეალურად მოქმედი ანტიმონოპოლური სამსახურის პირობებში შეიძლება ფასების განახევრება).

10. გაანალიზდეს (ოპოზიციის მონაწილეობით) კომერციულ ბანკებსა და მოსახლეობას შორის წარმოქმნილი პრობლემები და მოხდეს მათი დარეგულირება სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

11. გაანალიზდეს საბანკო სესხების არსებული საკრედიტო განაკვეთები, ზრდის რეალური ფაქტორები. სახელმწიფომ ევროპული გამოცდილებით უზრუნველყოს იაფი კრედიტის პრობლემის გადაწყვეტა.

12. გამოქვეყნდეს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამოძიების შედეგები.

13. შეიქმნას (პარიტეტულ პრინციპებზე) გახმაურებულ „ქუჩის მკვლელობათა“ საქმეების შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისია.

14. თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული და მიცემული პასუხისგებაში ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც დაკავშირებულია ქუჩის მკვლელობებთან.

15. თანამდებობიდან იქნას გადაყენებული ყველა ის პირი, რომლიც მონაწილეობდა ეკლესიების ნგრევასა და მრევლის დარბევაში (მიუხედავად მათი კონფესიური კუთვნილებისა).

16. გაიხსნას და საჯარო გახდეს 2003 წლის შემდგომ დაფუძნებული სახელისუფლებო ფონდები, მათ შორის : პრეზიდენტის, პრემიერ- მინისტრის, მინისტრების, გუბერნატორების, მერებისა და გამგებლებისა.

17. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე შეჩერდეს 2004 წლის დასაწყისში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების მოქმედება.

18. გამოქვეყნდეს სუკ — ის აგენტების სიები.

19. საქართველოს ყველა ქალაქისა და რაიონის მიხედვით გამოქვეყნდეს სიები იმ ობიექტებისა, რომელთა კეთილმოწყობისთვის დაიხარჯა 50 000 ლარზე მეტი (უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში).

20. გამოქვეყნდეს როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებზე გაცემული ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო თანხების მოცულობა (უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში).

21. გამოქვეყნდეს სახელმწიფო დაწესებულებების შეკეთების, კეთილმოწყობის, სატელეფონო, სატრანსპორტო მომსახურების თანხების მოცულობები უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

22. გამოქვეყნდეს 1992 წლიდან მიღებული უცხოური დახმარებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი ხარჯვის შესახებ.

23. გაანალიზდეს მეწარმეთა — იურიდიული და ფიზიკურ პირთა მიერ სასამართლო ორგანოებში შეტანილ სარჩელებზე გამოტანილი განაჩენები და შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში.

24. ხელისუფლების, ოპოზიციის, პოლიტიკური ძალების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისია, რომელიც მოაწყობს შეხვედრებს უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეებთან, მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით და შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებებთან კავშირში იბრძოლებს მათთვის მინიმუმ იმავე პირობების შექმნისთვის, როგორიც ჩვენს ქვეყანაში აქვთ ამ ქვეყნების მოქალაქეებს.

25. ხელისუფლებამ შეასრულოს მისი წინასაარჩევნო დაპირება პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით განსაზღვრის თაობაზე და აღადგინოს ყველა ის შეღავათი, რომლებიც პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა გააუქმა.

მოცემული დოკუმენტი თავდაპირველად, მომზადდა სახელწოდებით „სამართლიანობის მანიფესტი“. მიხეილ სააკაშვილის ტირანულმა რეჟიმმა დაგვანახვა აუცილებლობა — მანიფესტის ტონი შეგვეცვალა მოთხოვნით და მას ვუწოდეთ „ღირსების ულტიმატუმი“, რაც ნიშნავს იმას, რომ ხალხმა თავისი ღირსების დასაცავად ულტიმატუმი წაუყენა ხელისუფლებას.

ნაციონალური მოძრაობის ნეოფაშისტურმა სახელმწიფო მანქანამ ყურად არ იღო „ღირსების ულტიმატუმში“ ჩამოყალიბებული სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები, უღირსად მოექცა 2 000 ღირსეული ქართველის მოთხოვნას და არათუ შეასრულა ის, პასუხის ღირსადაც არ ცნო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების, საქვეყნოდ ცნობილი არაერთი მეცნიერის, ხელოვანისა და სპორტსმენის 2 000 ხელმოწერით განმტკიცებული ულტიმატუმი.

აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას: **„სამართლიანობის მანიფესტში“ არც ერთი მოთხოვნა არ არის, რომელიც სცდება ჩვენი კონსტიტუციის, ან ზოგადად სამართლებრივი სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებულ ფარგლებს.** მეტიც, თავად მიხეილ სააკაშვილი 1997 წლიდან, ანუ სახელმწიფოს სადავეებთან მისვლის პერიოდიდან მათ შესასრულებლად ელემენტარულსაც კი უწოდებდა. თავად არც ერთი არ შეასრულა, რითაც თავი კანონზე მაღლა, კონსტიტუციის გარეთ დააყენა.

ჩვენი პოზიცია კონკრეტულია: პასუხი მოეთხოვოს **მიხეილ სააკაშვილის** რეჟიმს აღნიშნულის შეუსრულებლობისათვის, ხოლო ახალმა მთავრობამ მიიღოს საჭირო ზომები მათი განხორციელების მიზნით. სწორედ ამიტომ ეს დოკუმენტი შესრულების თხოვნით გადაეგზავნა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულ ხელისუფლებას, პირადად **ბატონ ბიძინა ივანიშვილს...**

ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ

ამ სათაურით გაზეთის 16 სექტემბრის ნომერში ჩვენ მივმართეთ საზოგადოებას:

ჩვენი მიზანია, თქვენთან ერთად, მაქსიმალურად ზუსტად შევისწავლოთ ქვეყნის პოტენციალი, **მაქსიმალურად ზუსტად** დავსვათ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის დიაგნოზი, **მაქსიმალურად ზუსტად** შევიმუშავოთ ამ მდგომარეობის ქვეყანაში, როგორ ავამოქმედოთ ქვეყნის პოტენციალი და როგორ გამოვიყენოთ ამ საქმისთვის **„ყოველთა ძართველთა, საძართველოს შვილთა და საძართველოს მეგობართა საერთაშორისო კონგრესი“.**

ჩვენ ამ პროგრამაზე ვაგრძელებთ მუშაობას.

დღევანდელ ნომერში, **„სამართლიანობის მანიფესტის — ღირსების ულტიმატუმის“** გამოქვეყნება ამ პროცესის ნაწილია. ამ დოკუმენტზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ მეცნიერები და პოლიტიკოსები. დღეს ჩვენ ყველა ერთად ვართ. ეს დოკუმენტი არის ნიმუში იმისა, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს არა სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი, არამედ განვითარების ბიუჯეტი.

ნახეთ, წაიკითხეთ, გააანალიზეთ და დარწმუნდებით, რომ მხოლოდ განვითარების ბიუჯეტს შეუძლია დაიცვას ადამიანი, განავითაროს ქვეყანა.

ჩვენ, მეცნიერებმა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, საპარლამენტო არჩევნების წინ, ქვეყნის მოსახლეობისთვის შეგვეხსენებინა, მინიმუმ რისი გაკეთება შეიძლება დღეს ქვეყანაში. ხაზს ვუსვამთ: **მინიმუმ, რისი გაკეთებაც შეიძლება!**

ყველას გასაგონად ვაცხადებთ! ჩვენ ამ საკითხების შესრულებას მოვთხოვთ 8 ოქტომბერს არჩეულ ხელისუფლებას და 2017 წლის ოქტომბერში „ყოველთა ძართველთა, საძართველოს შვილთა და საძართველოს მეგობართა საერთაშორისო კონგრესის“ დასკვნით შეკრებას შევთავაზებთ მომავლის საძართველოს პროგრამას, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას ვთხოვთ ყველას, ხელისუფლებასაც, პოლიტიკურ ძალებსაც, ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც, საძართველოს ყოველ მოძალაძეს, ვინც გრძნობს პასუხისმგებლობას როგორც წარსულის, ასევე დღევანდელობისა და მომავლის საძართველოსთვის!

ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!

ქვეყანას მართავს ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა!

საქართველო სავსეა ზნეობრივი ადამიანებით, საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ

იმედიანი საუბარი იმედიან ხალხზე

პირდაპირ ვაცხადებთ, ძალას გვაძლევს ხალხის შეფასებები იმ ადამიანებზე, ვინც გარკვეული ჯგუფების რეკომენდაციით გაზეთისა და ტელევიზიის საშუალებით მთელ საზოგადოებას წარვუდგინეთ.

განსაკუთრებული მხარდაჭერა მიიღო მრჩეველთა საბჭოს შექმნის იდეამ და წინა ნომერში დასახელებულმა ყველა პიროვნებამ — ბატონმა **მინდია უგრეხელიძემ,** ბატონმა **პეტრე ჩხეიძემ,** ბატონმა **ვახტანგ გვარამიამ,** ბატონმა **ლევან სვანაძემ**.

უკვე ძალიან ბევრი ადამიანის ნებას გამოვხატავთ, როდესაც წარმოგიდგენთ მათ, ვინც მართლაც, სასურველზე სასურველი იქნებოდა, თუკი დაგვთანხმდებიან მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე.

ბედნიერია ქვეყანა, რომ ჰყავს **გურამ დოჩანაშვილი,** ცოცხალი კლასიკოსი, დიდი მოაზროვნე.

გამორჩეულზე გამორჩეულია საქართველოში (და არა მარტო) დამოკიდებულება დიდი ქალბატონის **ნონა გაფრინდაშვილის** მიმართ.

გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს სახელოვანი მოქანდაკე, პროფესორი **ლევან მხეიძე** ილია ჭავჭავაძის ძეგლის ავტორი მცხეთაში. მისი უამრავი ქმნილება დგას საქართველოში და გერმანიაში.

სათაყვანებელი კაცია ცნობილი არქიტექტორი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და სტუდენტობისთვის საყვარელი პროფესორი **გიგა ბათიაშვილი**.

ეროვნული სულის, საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორია **ვაჟა აზარაშვილი**.

ენერგეტიკის სულსა და გულს უწოდებენ ცნობილ მეცნიერს, ეროვნული განწყობის კაცს, ბატონ **რევაზ არველაძეს,** რომელიც, საბედნიეროდ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაშიც კი მოხვდა.

ნონა გაფრინდაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, ლევან მხეიძე, გიგა ბათიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, რევაზ არველაძე... რა დალევს საქართველოში ღვაწლმოსილ და ღირსებით სავსე ადამიანებს. მათ უნდა ვაფასებდეთ, ვუსმენდეთ, ვეთათბირებოდეთ.

სწორედ ასეთი ხალხი უნდა იყოს მრჩეველთა საბჭოში. იმ მრჩეველთა საბჭოში, რომლის შექმნის იდეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ეკუთვნის... იმ საბჭოში, რომელთან შეხვედრაც და რომელთა წინაშე გამოსვლაც, პატივი უნდა იყოს როგორც საქართველოს ხელისუფალთათვის, ასევე, ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი რანგის მაღალი სტუმრისთვის.

ჩვენ გვეამაყება, რომ საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდული გუნდის შექმნის იდეას და ის შეფასებები, რომელიც ახალგაზრდა კაცის, სასულიერო აკადემიის სტუდენტის, პოეტ **ოთარ ფალიანის** დასახელებას მოჰყვა. ჩვენ მომდევნო პარასკევის ნომერში ვისაუბრებთ იმედისმომცემ თაობაზე. საბედნიეროდ, ასეთი მრავლად ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ყველა უმაღლეს სასწავლებელში არიან როგორც სწავლაში წარჩინებულნი, ასევე ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები.

ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ოთხი თანატოლი წარმოგვიდგინა: **თათული ხუნტუა,** საპატრიარქოს უნივერსიტეტიდან, **ბექა ბაციკაძე** — კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან, **ხვიჩა კონცელიძე და შოთა ჭელიძე** „ქართული ერთობის დარბაზის“ ახალგაზრდული ორგანიზაციიდან.

ხალხი გვეუბნება, როდესაც მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მოსახლეობასთან ურთიერთობით შერჩეული ადამიანების მოკლე ბიოგრაფიებს ვკითხულობთ, იმედი გვესახება და მართლა გვიკვირს, ღვთითბოძებული ასეთი ისტორიისა და ასეთი კადრების პატრონ ჩვენს ქვეყანაში ასე ცუდად რატომ ვცხოვრობთო.

ჩვენ ვულოცავთ გაზეთის 16 სექტემბრის ნომერში დასახელებულ პიროვნებებს — **თეიმურაზ გვანცელაძეს, რუსუდან ბოლქვაძეს, ლევან გიგინეიშვილს, მალხაზ დათუკიშვილს, იზა ვეფხვაძეს, ირაკლი თოდუას, მერაბ კეზევაძეს, კობა კობალაძეს, ნანა სარიშვილს, დიმიტრი ნადირაშვილს,** იმ საყოველთაო მხარდაჭერას, რომელიც არაერთ შეხვედრაზე დადასტურდა, უამრავი სატელეფონო ზარიც მივიღეთ. ხალხი ითხოვს, რომ გარკვეული პერიოდის შემდგომ, წიგნად გამოიცეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული მასალებიც და ხალხის მიერ დასახელებული და მხარდაჭერილი პიროვნებების ვრცელი ბიოგრაფიები.

კარგი წინადადებაა, ჩვენ ამაზე ვფიქრობთ.

საქართველოში თუ ლონდონში, უამრავი ადამიანისაგან საოცარ შეფასებებს მოისმენთ ქალბატონ **ნინო ფორაქიშვილზე**. უესტმინსტერის უნივერსიტეტის (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) ბიოსამედიცინო მეცნიერებათა კათედრის პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის კათედრის დამაარსებელი და გამგე. საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი. ევროგაერთიანების „ტემპუს“ პროექტების კოორდინატორი 1996 წლიდან — ოცი წლის განმავლობაში, რომელიც ეხებოდა საქართველოსა სამხრეთ კავკასიაში ბიოლოგიის, ბიომედიცინის, ჰემატოლოგიის და დისტანციური სწავლების მეთოდების განვითარებას. 2011 წელს, პროფესორ ნინო ფორაქიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტი აღიარებული იყო, როგორც ევროგაერთიანების „ტემპუს“ პროგრამის საუკეთეო პროექტი, 20-წლიანი არსებობის განმავლობაში. 2012 წლის დეკემბერში იგივე პროექტმა მოიგო დიდი ბრიტანეთის გაზეთ „თაიმსის“ უმაღლესი განათლების სფეროში საუკეთესო საერთაშორისო თანამშრომლობის უმაღლესი ჯილდო.

ყველაფერთან ერთად, ჩვენთვის მთავარია, რომ ქალბატონი ნინო არის გამორჩეული ორგანიზატორი. როგორც ამბობენ, პრაქტიკულად, არაფრისაგან შეუძლია უდიდესი საქმე გამოიყვანოს.

ტარიელ ფუტკარაძე — უდავოდ ნიჭიერი კაცი, ძლიერი ორგანიზატორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი. რთულ პერიოდში იყო ქალაქ ბათუმის მერი. მის სახელთანაა დაკავშირებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის შექმნა, ამავე საკითხებზე უაღრესად საინტერესო ჟურნალის გამოცემა. არის დიალექტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმების ინიციატორი და ორგანიზატორი, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, სადაც ბატონი ტარიელია, იქ ქართული სულია. გამორჩეულად იცავს ქართულ ენას, დიდ მოღვაწეობას ეწევა თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველებთან . ნიშანდობლივია, რომ ანდრია პირველწოდებულის სასულიერო უნივერსიტეტის პროფესორი, დიდი ენთუზიაზმით ეწევა სამეცნიერო საქმიანობას სამცხე-ჯავახეთსა და კერძოდ, ახალციხის უნივერსიტეტში. გვარს ამართლებს,მუდამ ფუტკარივით ფუსფუსებს და მოქმედებს.

დავით ყალიჩავა ეროვნული კაცია. გამორჩეულ პატივს მიაგებდა ბატონი რეზო ჩხეიძე. ამბობდა: საპატრიარქოსთან არსებული ეროვნული მართლმადიდებლური კინოსტუდია „გუთნის“ შექმნით, რომლის პროდიუსერიც გახლავთ ბატონი დავითი, ახალი ეტაპი დაიწყო კინოხელოვნებაშიო. თითქოს მასზეა ნათქვამი დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები: „ოდითგანვე, საქართველოში სამშობლოსა და ხალხისთვის ღარიბი ჯიბით კეთდებოდა საღვთო საქმეები“ . ერთგან, ბატონი დავითი ილია მართალის სიტყვებს იხსენებს: „დღეს, სამწუხაროდ, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანებს უჭირთ და გვიწევს „პატარა ნიჩბებით“ მუშაობა.“ და იგი იმედოვნებს, რომ როგორც ეს დიდ მოძღვარს მიაჩნდა, უახლოეს მომავალში შეიკრიბება, გაერთიანდება და დაირაზმება გულანთებული ხალხი, ვისაც ძალუძს „დიდი ნიჩბებით“ მუშაობა . „დიდ ნიჩბებში“ იმ მდიდრებს გულისხმობს, ვინც ჩაერთვებიან ქველმოქმედებაში და მის სანაცვლოდ პოლიტიკურ დივიდენდებს არ მოითხოვენ. ბატონი დავითი არის კარგი ორგანიზატორი. ამას ყველა გამოკვეთილად ადასტურებს საპატრიარქოს ჩოხოსანთა გუნდში , რომლის წევრიც იგი არის.

გიორგი ფარეშიშვილი საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელია. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მის სახელთან უამრავი ინიციატივა და წამოწყებაა დაკავშირებული. მას ყველა თაობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიაგებენ პატივს. იგი გამორჩეული დამფასებელია უფროსი თაობის ღვაწლმოსილი ადამიანების. მის გვერდით მშვიდად გრძნობენ თავს ახალგაზრდა პოეტებიც და ხანდაზმული მეცნიერებიც. მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფში გვიხარია, რომ მოდის ასეთი ახალგაზრდა თაობა. თაობა, რომელიც ფიქრობს პროფესიის დაუფლებაზე, განათლების მიღებაზე და ნაკლებად ილტვის სახელისუფლებო სკამისაკენ. ასეთ ადამიანების დრო თავისთავად მოვა.

შალვა ხეცურიანი — უმამოდ გაზრდილმა, თავად შექმნა საკუთარი თავი. განათლება რიგაში მიიღო, ლატვიელებმა ისეთი პატივი მიაგეს, რომ საკუთარ წარმომადგენლად დანიშნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის არაერთ ქვეყანაში. გასაოცარ ამბებს გვიყვებიან, როგორ აღადგინა წინაპართა ღვინის დამზადების ტექნოლოგია და კარგი ინდუსტრია შექმნა. იგი არის საქართველოში სომელიეთა ინსტიტუტის დამამკვიდრებელი. არჩეულია სომელიეთა მსოფლიო საბჭოს წევრად, საკუთარი ინიციატივით სომელიეთა სწავლების მთელი სისტემა შექმნა საქართველოში. ბატონი შალვა ხეცურიანის სახით, ქართულ ღვინოს კარგი მკვლევარი და ბევრ ქვეყანაში მისი გამავრცელებელი ჰყავს. სწორედ ამას ემსახურება ჟურნალიც და გაზეთიც , რომლებიც მისი პატრონაჟით გამოიცემა და მსოფლიოში ქართული ღვინის პროპაგანდას ემსახურება. მისი მეგობრები საქართველოშიც და უცხოეთშიც მას „ქართული ღვინის ელჩს“ ეძახიან. ძალზე ძნელია, ღვინის სამშობლოში, საქართველოში „ღვინის პროფესორის“ წოდების დამსახურება. ეს მან შეძლო.

გვეამაყება, რომ ქვეყანას ჰყავს ასეთი ღირსეული შვილები.

გავერთიანდეთ მოგავლის საქართველოსთვის!

ვქმნით გზებს, როგორ დავიცვათ ხელისუფლება მათგან, ვინც ძალაუფლებისაკენ მიილტვის, გამდიდრების ან უკანონოდ დაგროვილი სიმდიდრის დაცვის მიზნით

დღეს გთავაზობთ ერთ წინადადებას

ხელისუფლებას დრო ასამართლებს! ასე იყო და ასე იქნება!

ქონებრივი დეკლარაცია

ხელწერილი

მე, თეიმურაზ შაშიაშვილი, მცხოვრები ქ. ქუთაისში, გამსახურდიას ქუჩის მე-5 შესახვევი №1, როგორც საჯარო სამსახურში მყოფი თანამდებობის პირი, ვიძლევი ამ ხელწერილს მასზე, რომ:

1. მე, ჩემი მეუღლე, შვილები და დედა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არც ერთ სამეწარმეო სუბიექტში არ ვფლობთ საწესდებო კაპიტალის წილს ან აქციას და არც ერთი სამეწარმეო სუბიექტის მიმართ არ გაგვაჩნია ფინანსური თუ სხვა სახის პირადი ინტერესები.

2. თუ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის განმავლობაში ჩემი ან ამ ხელწერილის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრიდან, რომელიმე შევიძენთ საცხოვრებელ სახლს, მანქანას ან გავხდებით მეწარმეთა შესახებ – საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი, ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ ოფიციალურად იქნება ინფორმირებული საზოგადოება, შეძენამდე ერთი თვით ადრე, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

3. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად დავეხმარები თითოეულ დაინტერესებულ პირს, მოიპოვოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია ამ ხელწერილით განსაზღვრული პირობების ნამდვილობის შემოწმებისათვის, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება ეჭვი ამა თუ იმ სამეწარმეო სუბიექტში ჩემი ან ზემოხსენებულ პირთა წრის არაოფიციალური წილისა თუ აქციის მფლობელობის თაობაზე.

4. პიროვნება, რომელიც წარმოადგენს ამ ხელწერილის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული პირობების უარმყოფელ და გამაბათილებელ, სამართლებრივად დადასტურებულ დოკუმენტს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მას აღნიშნულ საწესდებო კაპიტალის წილს, აქციას და ამ ხელწერილის მეორე პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევით შეძენილ სამეწარმეო სუბიექტის წილს, აქციას, სახლს და მანქანას.

5. თუ სახელმწიფო სამსახურში ჩემი მოსვლის შემდგომ ამ ხელწერილის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირთა წრიდან რომელიმეს აქვს შეძენილი საცხოვრებელი სახლი, მანქანა ან არის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახელმწიფო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მის აღმომჩენ ნებისმიერ პიროვნებას ზემოთ აღნიშნულ ნივთს.

6. ხელწერილი ძალაშია როგორც ჩემი სახელმწიფო სამსახურში ყოფნის განმავლობაში, ისე სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ.

7. ხელწერილი ჩემ მიერ არის შედგენილი, სწორია და ხელს ვაწერ: თეიმურაზ შაშიაშვილი, 1999 წელი.

* * *

გამოქვეყნდა პრესაში; ჩაბარდა დეკლარაციების ბიუროს. მივმართავ ყველას – ქვეყნის პრეზიდენტით, დეპუტატებით დაწყებული, მერიის და გამგებლის რიგითი მუშაკით, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებით დამთავრებული – გამოაქვეყნონ ანალოგიური ხელწერილი...

ეს ხელწერილი, პირველად 1997 წელს შევადგინე. 1999 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ პრესაში გამოვაქვეყნე, დეკლარაციების ბიუროს ჩავაბარე, მოვუწოდე ყველა სახელისუფლებო შტოს – საკანონმდებლოს, აღმასრულებელს, სასამართლოს წარმომადგენლებს – გაეკეთებინათ იგივე.

ჩემს წინადადებას ენთუზიაზმით არავინ შეხვდა. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მაშინ „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი იყო, კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა – ეს „მოქალაქეთა კავშირს“ დააზიანებს და დაასუსტებსო. ჩემი პასუხი მოკლე იყო: „არ ვარ მოქალაქეთა კავშირის წევრი, არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მაქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, თუ გუბერნატორობა მზღუდავს, მზად ვარ, გადავდგე“.

ამ საკითხის განხილვა პრეზიდენტ შევარდნაძესთანაც შედგა. მან გამოკვეთილად არ გამოხატა პოზიცია. არც მე და არც მათ არ აწყენინა. ეს კი იმის ნიშანი გახლდათ, რომ იგი სასურველად არ თვლიდა ამ ხელწერილის გამოქვეყნებას.

1999 წლიდან დღემდე ჩემს დანაპირებს ვასრულებ - ვაქვეყნებ ქონებრივ დეკლარაციას, მოვუწოდებ იგივეს ყველა დონის ხელისუფალს.

დღემდე ვერავინ გაბედა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. გასაგებია, რატომაც! გვინდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა? ყველამ – პრეზიდენტმაც, პარლამენტის თავმჯდომარემაც, პრემიერ-მინისტრმაც, გუბერნატორმაც, მერმაც, გამგებელმა, ყველა დეპუტატმა და საერთოდ, თანამდებობის პირმა, გააკეთოს იგივე განცხადება.

დღეს არ ვარ თანამდებობის პირი. ჩემს ხელწერილს ძალაში ვტოვებ, კიდევ ერთხელ ვაქვეყნებ და თუ ვინმე თვლის, რომ რაიმეს დამატება არის საჭირო სამართლიანობის დასადგენად, მზად ვარ, მივიღო წინადადება.

ვფიქრობ, დიდი ნაბიჯი გადაიდგმება კორუფციის წინააღმდეგ და საზოგადოებაც გაჯანსაღდება, თუ ყველა დეპუტატი, მინისტრი, გუბერნატორი, მერი, გამგებელი, პროკურორი, პოლიციისა და უშიშროების თანამშრომელი – ძველიც და ახალიც – სახელმწიფო სამსახურში მისვლის შემდგომ შეძენილ სახლს, მანქანას, აქციებს, ბანკებში შეტანილ თანხებს დაუბრუნებს სახელმწიფოს. არც ერთ მათგანს იმ ხელფასით, რომელიც ჰქონდათ ან აქვთ, არ შეეძლოთ არც ერთი ზემოაღნიშნულის შეძენა, ხოლო ლაპარაკი მდიდარ სიდედრ-სიმამრზე – კორუფციაა და მეტი არაფერი.

საერთოდ, რთულია, ადამიანმა თავი შეიკავო, როცა ხედავ, ვინ ვის იჭერს და ვინ ვის ასამართლებს.

ყველაზე ცუდი კიდევ ის არის, მდიდართა და ფულიანთა მხილება პოლიტიკური ნიშნით ხდება და კორუფციის წინააღმდეგ წარსულში ხმამაღლა მოსაუბრე მიხეილ სააკაშვილმა დაივიწყა არა ერთი და ორი, ვისაც უმწვავესად აკრიტიკებდა. სამწუხაროდ, იგივე დაემართა ბიძინა ივანიშვილსაც.

პრეზიდენტ სააკაშვილს არ აინტერესებდა, როგორ შეიძინა მისმა მეგობარმა პარლამენტარმა, მინისტრის ძმამ **დავით ბეჟუაშვილმა** საქართველოს უდიდესი ქონება: ცემენტის ქარხნები, ოქროს და მარგანეცის საბადოები, ავტოქარხანა, ტყიბულის ქვანახშირი, თბილისში, რუსთაველის პროსპექტის უდიდესი ნაწილი, ტელეკომპანიები „რუსთავი-2“, „ეზე“, „მაესტრო“ და უამრავი სხვა ქონება, როგორ გახდა მთავარი – ენერგეტიკასა და გაზში, რატომ აქვს ანგარიშები „მარშალის კუნძულებზე“ (გეოგრაფებსაც კი უჭირთ რუკაზე მისი მიგნება), (როგორ შეიძინა პარლამენტარობის დროს თვითმფრინავი (მოსახლეობის უდიდეს ნაწილს პურის ფულის პრობლემა აქვს), რომლითაც პრეზიდენტის ოჯახი სარგებლობდა, მაშინ როდესაც იჭერენ 1000-ჯერ ნაკლები ქონების პატრონს.

რა გამოდის? თუ პრეზიდენტის ახლობელი ან მონა ხარ, ყველაფრის უფლება გაქვს, თუ არა და, ციხეში უნდა წახვიდე, ქონება დათმო პრეზიდენტის ახლობელთა სასარგებლოდ. დ. ბეჟუაშვილი ამ ხელისუფლების პერიოდშიც თავს კომფორტულად გრძნობს.

თავის დროზე, მდიდართა წინააღმდეგ ბრძოლით და გაჭირვებულთა ქომაგობით გაპრეზიდენტებულ მიხეილ სააკაშვილს აღარ სურდა დაენახა, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში მდიდარი კიდევ უფრო გამდიდრდა და ღარიბი კიდევ უფრო გაღარიბდა .

ცინიზმი და მოსახლეობისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, რომ **„ფულის ტომრების“ (მ. სააკაშვილის სიტყვები) წინააღმდეგ წარსულში მებრძოლი სააკაშვილი (მაშინაც ვწერდი, რომ ეს იყო მოჩვენებითი ბრძოლა) საკუთარი ძალაუფლების გადარჩენას, სწორედ, „ფულის ტომრებზე“ დაყრდნობით ახერხებდა და დღეს, კვლავ მათი საშუალებით ცდილობს ხელისუფლებაში დაბრუნებას.**

ამ მასალის გამოქვეყნებით ვადასტურებ ჩემს ხელწერილს და ვაცხადებ, 1960 წელს აშენებული მამაპაპისეული სახლის გარდა, დედამიწის ზურგზე არსად სხვა სახლი არ გამაჩნია, არსად სამეწარმეო სუბიექტის საწესდებო კაპიტალის წილის ან აქციის მფლობელი არ ვარ, მანქანა არ მყავს, არც ერთ ბანკში ფული არ მაქვს, ვალი კი – სოლიდური.

ვინც ჩემი ამ განცხადების უარმყოფელ ინფორმაციას წარმოადგენს – სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის შესაბამისად საჯაროდ ვაცხადებ, რომ ჯილდოს სახით ვჩუქნი მას აღნიშნული საწესდებო კაპიტალის წილს, აქციას, სახლს, მანქანას, ბანკში არსებულ ფულს.

1993 წლიდან ვამბობდი და ვაცხადებ დღესაც – ყველა დონის ხელისუფალმა უნდა იცოდეს, რომ უზნეობაა, მდიდარი იყო და კარგად ცხოვრობდე ღარიბ ქვეყანაში, როცა ღარიბია, გაუსაძლის ყოფაშია წესიერი კაცი, შიმშილობს მეცნიერი, მწერალი, შემოქმედი, კულტურის მოღვაწე, ცნობილი სპორტსმენი, როცა შიმშილობს მასწავლებელი, როცა ბავშვს ბავშვობა არა აქვს, მოხუცის სიცოცხლე გამწარებულია, გაწამებულია ხიზანი, მიტოვებულია შრომისუუნარო, მიუსაფარი, როცა არ აფასებენ ნიჭიერს, კაი კაცს, პატიოსნებას, არ აფასებენ ძლიერს – როცა ყველაზე მეტად იმ ხალხს გაუჭირდა, ვინც ღირსეულად და პატიოსნად იცხოვრა.

1997 წლის ივნისში, პარლამენტში გამოსვლისას ვთქვი, რომ საქართველოში სისტემაა კორუმპირებული და საჭიროა არა პიროვნების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ სისტემის შეცვლა. **1999 წელს** გავაკეთე განცხადება, რომ ქვეყანაში ხელისუფლებაა კრიმინალური. **2001 წლის ივლისში** პრესას, პარლამენტს, მთავრობას მივმართე: „კრიზისმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია – ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“.

2004 წლიდან ვამბობ, ე.წ. **„ვარდების რევოლუციამ“** გაახანგრძლივა კრიმინალთა ხელისუფლება საქართველოში, რომ დღეს ქვეყანას მართავდა ყალბი ეროვნული პათოსის, მოჩვენებითი დემოკრატიის, პოლიტიკური კორუფციისა და სოციალური დემაგოგიის ხელისუფლება. პრეზიდენტი, რომლის ოჯახის წევრები, მეგობრები აკონტროლებენ პარტიულ ბიზნესს საქართველოში, რომელმაც პარლამენტს დაუკარგა პოლიტიკური ფუნქცია და ბიზნესკლუბად აქცია.

ვითარება დიდად არც დღეს შეცვლილა. კვლავ ფულისუფლების ქვეყანაში ვცხოვრობთ, ქვეყანა კვლავ გარედან იმართება, კვლავ ებრძვიან ძლიერს – მცოდნესა და პროფესიონალს, კვლავ ძლიერია კლანური ზეგავლენა, კვლავ მაღალი რანგის ხელისუფალთა ოჯახის წევრები უკადრებელს კადრულობენ – ხშირად ერევიან მართვის პროცესში, განსაკუთრებით, საკადრო პოლიტიკაში.

მინდა ვცდეგოდე, მაგრამ დღეს დარწმუნებით ვამბობ: ეს არჩევნები პოლიტიკურად გააკოტრებს ყველას, გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც. მე ამჯერად, პოლიტიკური პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე ვარ. ჩვენ, პარტიაში ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება, არ ჩავრთულიყავით საარჩევნო მარათონში და შევერთებოდით მეცნიერთა მოძრაობას „ეროვნული თანხმობის პარლამენტისთვის“.

მდგომარეობა მანამდე არ შეიცვლება, ვინემ არ მოხდება სისტემური ცვლილებები. მართვის სისტემაა შესაცვლელი. ეს სერიოზული საკითხია. მისი განხორციელება ურთულესია და ხელეწიფება მხოლოდ გონიერ ხელისუფალთ.

მჯერა, დრო დაადასტურებს ჩემი გადაწყვეტილების სისწორეს და მნიშვნელობას.

თეიმურაზ შაშიაშვილი,

P. S. ზემოთ წარმოდგენილი წერილი იგივეა, რაც 1999 წელს გამოვაქვეყნე, თუმცა დღევანდელობიდან გამომდინარე, ზოგი ცვლილება შევიტანე.

ჩვენი რეკვიზიტები:
თბილისი 0179, ღამბაშიძის ქ. №4
ტელ. (032)2 443446; 599 03 21 66; 599 37 83 41
ელ.ფოსტა : kartuliertoba@gmail.com
ვებ.გვერდი: www.qedi.qtv.com.ge
ფეისბუქის გვერდი: საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის

ხალხი იწონებს ქართული TV-ის პოზიციას

ჩვენ

არ ვიცით, რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზია. ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ოპოზიციური ტელევიზია. ჩვენ ვიცით მხოლოდ მართალი ტელევიზია!

ქართული TV

ტელევიზია „ქართული TV“ ძირითადი გადაცემები

ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირისა, 19.30 საათზე, საინფორმაციო გამოშვება;

ყოველი კვირის ორშაბათს პირდაპირი ეთერით, 20.00 საათზე, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის გადაცემა,“ ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება“;

ყოველ ორშაბათს, 17.00 საათზე, იურიდიულ მეცნ. დოქტორის იოსებ ბაჩიაშვილის საავტორო გადაცემა, „ერი და ეპოქა“;

არჩევნებამდე, ყოველდღე, გარდა ორშაბათისა, 20.00 საათზე, პირდაპირი ეთერით მიხეილ ანდღულაძის საზოგადოებრივ-ანალიტიკური თოქ-შოუ , „ერთობის დრო“;

ყოველ სამშაბათს, 15.00 საათზე, თეოლოგ ლეონ ფირცხალავას საავტორო გადაცემა, „ცოცხალი წმინდანები“ ;

ყოველ ოთხშაბათს, 17.00 საათზე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლადო ჭელიძის საავტორო გადაცემა, „მეცნიერება და ლიტერატურა“;

ყოველ ხუთშაბათს, 18.00 საათზე, მედიცინის მეცნ. დოქტორის რამაზ ყურაშვილის საავტორო გადაცემა, „მედიცინა და საზოგადოება“ ;

ყოველ პარასკევს, 15.00 საათზე, ჟურნალისტ თამთა ბერიაშვილის საავტორო გადაცემა, „პრობლემა“;

ყოველ პარასკევს, 18.00 საათზე, ირინა თურქიას საავტორო გადაცემა, „ხელოვნების დრო“;

ყოველ შაბათს, 20.00 საათზე, პროფესორ რევაზ ბალანჩივაძის სატელევიზიო -სალექციო კურსი, „ განათლების ფილოსოფია“;

ყოველ შაბათს, 22.00 საათზე, ჟურნალისტ ნინო ცხოიძის საავტორო გადაცემა „ემიგრანტები, ანუ სხვა საქართველო აქ არის“;

ყოველ კვირას, 12.00 საათზე, სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორის, პროფესორ კობა კობალაძის საავტორო გადაცემა, „ჩვენი მამული“;

ყოველ კვირას, 22.00 საათზე, რეჟისორ ვარლამ (ლალი) ნიკოლაძის საავტორო გადაცემა „მე-11 აუდიტორია“;

შაბათ-კვირას, ღამის ეთერში, რეჟისორ ბიძინა ჩხეიძესთან ერთად, გადაცემა, „თეატრი ეკრანზე“ (სპექტაკლები საქართველოს სხვადასხვა თეატრიდან);

27 სექტემბერს, 12 .00 საათიდან 20.00 საათამდე ყველა გადაცემა მიეძღვნება აფხაზეთს, სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დღეს.

შენიშვნა: გადაცემების ყოველკვირეული სრული ბადე შეგიძლიათ ნახოთ Myvideo.ge – ზე „ქართული T|“

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი

სესხის/კრედიტის № IBRD 8547-GE

პროექტის No.: P149952

დავალების სახელწოდება: E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ჩუმათელეთი – ხევის მონაკვეთის (მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 11.2 კმ) პროექტის განხილვა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

კონტრაქტი/ RFP No: EWHCIP/CS/QCBS-03

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის ჩუმათელეთი – ხევის მონაკვეთის (მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 11.2 კმ) პროექტის განხილვა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა)"**.

აღნიშნული დავალების განხორციელების ვადაა – პროექტის განხილვისთვის 4 თვე, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისთვის 24, თვე ამას დამატებული 12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში, ძირითად თანამშრომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება.

შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის პროექტის განხილვის დავალებებში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2011 წლის იანვრიდან);
- მსგავსი გამოცდილება ავტომაგისტრალის მშენებლობის ზედამხედველობის დავალებებში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2011 წლის იანვრიდან);

შენიშვნა: მხოლოდ ორივე კრიტერიუმში (ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის პროექტის განხილვა და სამუშაოების ზედამხედველობა) მსგავსი გამოცდილების მქონე კონსულტანტები მოხვდებიან მოკლე სიაში.

<u>შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.</u>

<u>საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის</u>.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე <u>www.georoad.ge</u> შემდეგ ბმულზე:

<u>http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819</u>

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ: <u>info@georoad.ge</u>

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2016 წლის 7 ოქტომბრის 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: გიორგი სეთურიძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: <u>info@georoad.ge</u>

ვებ-გვერდი: <u>www.georoad.ge</u>

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia

East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)

Credit/Loan No: IBRD 8547-GE

Project No. P149952

Assignment Title: Design Review and Supervision of Construction Works for E-60 Highway Chumateleti – Khevi Section (approximate length of the section is 11.2 km)

Contract/RFP No: EWHCIP/CS/QCBS-03

Georgia has applied financing from the World Bank towards the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Hereinafter "consultants") to express their interest in providing the following services: **"Design Review and Supervision of Construction Works for E-60 Highway Chumateleti – Khevi Section (approximate length of the section is 11.2 km)".**

The implementation period for this assignment is expected to consist of design review period 4 months and supervision of construction works for 24 months plus defect liability period of 12 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of Interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The selection criteria are:

- General experience in road infrastructure projects;
- Similar experience in Design Review of Highway Construction Assignments within the last 5 years (i.e. since January 2011);
- Similar experience in Supervision of Highway Construction Assignments within the last 5 years (i.e. since January 2011);

Note: Only those consultants who will have similar experience in <u>BOTH</u> criterion (design review and supervision of Highway Construction Assignments) will be considered for shortlisting.

<u>Only successfully completed assignments will be taken into consideration during evaluation stage.</u>

<u>The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.</u>

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>*, January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on <u>www.georoad.ge</u> on the following link:

<u>http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819</u>

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under Quality and Cost-based Selection method set out in the World Bank's <u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>, January 2011 - Revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information at the address: <u>i</u>

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **October 7, 2016, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: <u>info@georoad.ge</u>

Web-Site: <u>www.georoad.ge</u>

◎ ძალოსნობა

ფედერაციას ისევ კახიაშვილი უხელმძღვანელებს

მას შემდეგ, რაც 2015 წელს საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას სათავეში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი ჩაუდგა, ქართველ ათლეტთა წარმატებებმა იმატა. შარშან მძიმე წონაში ევროპის ჩემპიონი გახდა ირაკლი თურმანიძე, მსოფლიოს ჩემპიონატი ლაშა ტალახაძემ (+105) მოიგო. წლეულს მან მონაგარი ჯერ ევროპის ჩემპიონობით გაიმდიდრა, შემდეგ რიოში ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მსოფლიო რეკორდით, ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორია ირაკლი თურმანიძე, თბილისში გამართულ ახალგაზრდა ძალოსანთა მსოფლიოს პირველობაზე გიორგი ჩხეიძემ (105 კგ) ოქროს მედალი დაიმსახურა. ამავე შეჯიბრების მეორე პრიზიორია ანასტასია გოტფრიდი (75), რომელიც გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატზეც მეორე იყო. ყოველივე ამის შესახებ ითქვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე, სადაც 49-დან 45-მა დელეგატმა ახალი ოთხწლიანი ვადით ფედერაციის პრეზიდენტად კახი კახიაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. ვიცე-პრეზიდენტებად პაატა ხიზანიშვილი და თამაზ ბაქანიძე, გენერალურ მდივნად კი რამაზ გურგენიძე აირჩიეს.

ლექსო ცინცაძე

◎ მხარე

ონში დარბაზს განაახლებენ

სპორტისა **და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი „მასობრივი სპორტის განვითარების“ პროგრამის ფარგლებში ამბროლაურს და ონს ესტუმრა. ტარიელ ხეჩიკაშვილმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილა რეგიონში სპორტის განვითარების გეგმა, ხოლო მოგვიანებით მოინახულა ამბროლაურისა და ონის ჭიდაობის დარბაზები.**

დაიგეგმა ონის მუნიციპალიტეტში გასულ საუკუნეში აგებული უნიკალური ჭიდაობის დარბაზის რეაბილიტაცია. სტუმარმა მოინახულა ამბროლაურის სპორტული კომპლექსი, შეხვდა მოჭიდავეებს, კალათბურთელებს, კარატისტებს, მორაგბეებს და მწვრთნელებს.

მინისტრმა მოისმინა მათი პრობლემები და გადასცა შესაბამისი სპორტული ინვენტარი. აღსანიშნავია, რომ 1 სექტემბრიდან რაჭის სოფლებში მომუშავე სპორტის მასწავლებლები და მწვრთნელები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსგან მიიღებენ 50-70 ლარიან დანამატს. ხელფასზე დანამატი მაღალმთიანი სოფლების პროგრამის ფარგლებში გაიცემა, რაც ადგილობრივი სპეციალისტებისთვის დამატებითი მოტივაცია იქნება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ლიზ სოლარი – ცხოველის ტყავში

ალბათ, გახსოვთ, ადრეც რომ ვწერდით ბედოვლათი არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელის სანტიაგო სოლარის თამამ და კეკლუც დაზე – ლიზ სოლარიზე, რომელიც თავის საზოგადოდ წარმოჩინების ჭეშმარიტად დიდი ოსტატი გახლავთ და სწორედ ამანაც განაპირობა მისი ბოლოდროინდელი პოპულარობა.

თუკი აქამდე ლიზ სოლარი ძირითადად მხოლოდ ეპატაჟური ხრიკებით აღწევდა აღიარებას, როგორც იქნა, მისი მთავარი სანუკვარი საწადელიც ახდა და მოდელის კარიერაც აიწყო. დაახლოებით ორი თვეა, რაც სანტიაგოს გადარეული დაიკო ერთ-ერთ იტალიურ სამოდელო სახლთან თანამშრომლობს და ნაყოფიერადაც.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მრავალი ცნობილი ადამიანი ოფიციალურად ემიჯნება ცხოველთა კვლას და ცხოველების ბეწვეულის სამოდელო საქმეში გამოყენებას, ლიზ სოლარის ეს დიდად არ ანაღვლებს და უკვე გადაწყვეტილია, რომ იგი მონაწილეობას მიიღებს საშემოდგომო ჩვენებაში, სადაც დომინანტი სწორედ ცხოველის ბეწვი იქნება. ვის ანაღვლებს სადღაც ალასკაზე მოკლული საწყალი მელა, როდესაც სასწორზე ლიზ სოლარის პოპულარობაა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მშვილდოსნობა

ნარიმანიძემ აჭარა მოიგო

ბათუმში **დამთავრდა მშვილდოსანთა ტრადიციული 22-ე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რვა გუნდის 70-მდე წარმომადგენელი გამოდიოდა.**

ქალთა ბრძოლა ხელვაჩაურის ნაკრების წევრმა, ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონმა ხათუნა ნარიმანიძემ მოიგო – ფინალში ახალგაზრდა მირანდა კვერნაძეს 6:0 აჯობა. ბრინჯაოს მედალი სომეხმა აიკილ მარქარიანმა მოიპოვა – გადამწყვეტ პაექრობაში ყაზახ ოლგა კრივეცს 7:3 სძლია.

ვაჟებში ნათან ჰოფმანმა (ისრაელი) გაიმარჯვა, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე თბილისელები – ზურაბ მესტვირიშვილი და ვლადიმერ დოლიძე გავიდნენ.

შერეულ წყვილებში აზერბაიჯანელთა ნატურალიზებულმა დუეტმა – ტარას სენიუკმა და სვეტლანა სიმონოვამ ხელვაჩაურელებს – ნარიმანიძეს და ანრი ბასილაძეს აჯობა, ბრინჯაო კი აიკილ მარქარიანისა და ვასილ შახნაზარიანის სომხურ ტანდემს ხვდა.

ვაჟებში სომხეთის ნაკრებმა (ვასილ შახნაზარიანი, სამველ ხაჩატრიანი, ჰამლეტ მარტიროსიანი) დაიკავა პირველი ადგილი, მეორეზე თბილისი (დოლიძე, მესტვირიშვილი, ირაკლი ეფრემიძე), ხოლო მესამეზე ქუთაისი (ლაშა ფხაკაძე, ჯაბა მესტვირიშვილი, თორნიკე ჭეიშვილი) გავიდა.

ქალებში გუნდური პირველობა თბილისის ნაკრებს (მარინა ჩუმაჩენკო, ვერიკო მაკიევი, კვერნაძე) ერგო – ფინალში ხელვაჩაურს (ხათუნა ნარიმანიძე, მისი ქალიშვილი ციკო ფუტკარაძე და ანა ცხომელიძე) დააყრევინა ფარ-ხმალი.

აჭარის ტურნირის მონაწილე მშვილდოსნებმა ერევანს მიაშურეს, სადაც კვირის მიწურულს საერთაშორისო ბატალიებში იასპარეზებენ.

გივი გაგუა

◎ ფორუმი

სფფ - ევროსაბჭოს კონფერენციაზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გარიგებული მატჩების გამოვლენისა და აღკვეთის ფარგლებში ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე სტრასბურგში იყო მიწვეული.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახური იტყობინება, კონფერენციაში მონაწილეობდა სფფ-ის სპორტული სამართლიანობის დაცვის სამსახურის უფროსი ვახტანგ ბზიკაძე, რომელმაც კონფერენციის პარალელურად ინდივიდუალური შეხვედრები გამართა უეფას სადისციპლინო და სპორტული

სამართლიანობის კომიტეტის თავმჯდომარესთან ემილიო გარსიასთან და უეფას პარტნიორი ორგანიზაციის „სპორტრადარის“ მმართველ დირექტორთან ანდრიას კრანიხთან.

ინდივიდუალურ შეხვედრაზე ვახტანგ ბზიკაძემ ემილიო გარსიასგან დამატებითი ინფორმაცია მიიღო 8 სექტემბერს გამართულ მარტვილის „მერანი-სა“ და „რუსთავის“ გარიგებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით და, თავის მხრივ, ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს მატჩის ამსახველი ვიდეომასალა გადასცა.

ევროსაბჭოს კონფერენცია ევროპული კონვენციის რატიფიცირებისთვის მზადების სირთულეებს ეხებოდა. სპორტული შეჯიბრებებისას მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციას 2014 წელს შვეიცარიის ქალაქ მაკოლინში მოეწერა ხელი და მასში 48 ქვეყანა, მათ შორის სამი არაევროპულია გაერთიანებული.

◎ ლეგიონერი

დიქსონმა აეკ-ში გაიბრწყინა

ამერიკელმა კალათბურთელმა მაიკლ დიქსონმა ევრობასკეტ – 2017-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მაისურით ხომ დიდებულად ითამაშა და ახალ კლუბ ათენის აეკ-ში გადასვლის შემდეგაც თავის გამოჩენა პირველივე მატჩში მოახერხა.

ბერძნული გუნდი ამხანაგური ტურნირის ჩასატარებლად თურქეთს ესტუმრა და „თოფაშთან“ 80:81 წააგო, არადა, დიქსონმა გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გაიღო. მაიკლმა 24 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი მიითვალა და ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო.

აეკს ტურნირზე მომდევნო მეტოქე კიდევ ერთი თურქული კლუბი „ბანვითი“ ეყოლება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სულიერება

გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი

25 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს მწიგნობართუხუცესს გიორგი ჭყონდიდელს.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მწიგნობართუხუცესობა შეაერთა ჭყონდიდელობასთან. ეს ტიტული (წოდება) მიიღო პირველად გიორგი მონაზონმა (1105-1110 წ.წ.). გიორგი ჭყონდიდელი იყო დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და ერთგული მოკავშირე, ხელისშემწყობი და მიმდევარი. გიორგიმდე ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობები ცალ-ცალკე არსებობდა.

საგულისხმოა, რომ თავისი ერთგული მწიგნობართუხუცესისათვის ჭყონდიდელის უწარჩინებულესი კათედრის ჩაბარების მიზანი იყო მეფის მხრივ ეკლესიის მართვა-გამგეობაზე გავლენის დამყარება.

აღსანიშნავია, რომ VII საუკუნის პირველ ნახევარში წარმართული საღოცავის ადგილზე ჭყონდიდში („დიდი მუხა“) ქრისტიანული ეკლესია აშენდა. ამ ადგილს ტაძრის სახელის მიხედვით მარტვილი ეწოდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ X საუკუნეში მარტვილში დაარსდა ჭყონდიდის ეპარქია, რომელიც აერთიანებს მარტვილს და აბაშის რაიონებს.

გიორგი ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი იყო „ვით მამა მეფისა“, ამიტომ „ყველა საურავი უმისოდ არ იყო“. მისი მოვალეობა გახლდათ „სამეფოსა და სახლის განგება“ (ჟამთააღმწერელი). მას ემორჩილებოდა ყველა მონასტერი და ეკლესია, გარდა გელათისა. როგორც საეკლესიო მოხელეს, აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაში.

გიული ლიპარტია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გალაქტიონ გეგუჩაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გალაქტიონ გეგუჩაძე (პ/ნ 37001013362), სამტრედია, მ. კოსტავას ქ. №92, ბინა №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სამტრედია, კონსტიტუციის ქ. №1, პირველი სართული, ბინა №44 (საკადასტრო კოდი: 34.08.59.039.01.044).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10298.64 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 10 ოქტომბერი, 16:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

5. **მოვალე:** გალაქტიონ გეგუჩაძე (პ/ნ 37001013362), სამტრედია, მ. კოსტავას ქ. №92, ბინა №1.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 10 ოქტომბრის 16:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ხსოვნა

ვერა შელია-დარჯანიასი

„მიდიხარ, ტკბილი გძინდეს მგზავრობა“

ქართული განათლების ცის კაბადონს მოწყდა ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი – წლების განმავლობაში ფოთის №3 საშუალო სკოლის დირექტორი, ფოთის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მრავალი ათასი მოსწავლის აღმზრდელი **ვერა კონსტანტინეს ასული შელია-დარჯანიასი.**

აღარ არის ფოთელთათვის ესოდენ საყვარელი მასწავლებელი. უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, მოძღვარი ვერიკო შელია.

მას იმ დროს მოუწია პედაგოგობა, როდესაც ფოთი ითვლებოდა განათლების მექად, რამეთუ იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ არამარტო საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა სივრცეში ცნობილი პედაგოგები: პორფილე ბარამიძე, პიმენ ნაცვლიშვილი, აკაკი ცხადაია (შემდგომ საქართველოს კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის დირექტორი), თინათინ ჭოჭუა – №1 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი (მთელს საბჭოთა სივრცეში განთქმული ქიმიის ლაბორატორიის შემქმნელი), გიორგი ხოჭოლავა, ანასტასია ხომერიკი, ალექსანდრა აბდუშელიშვილი და მრავალი სხვა.

ძნელი იყო იმ პერიოდში დირექტორის ტიტულის ტარება, მაგრამ ვერიკო შელიამ შეძლო ამის გაკეთება და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული პედაგოგიკის ისტორიაში.

მისი ხელმძღვანელობით მე-3 საშუალო სკოლაში აღიზარდა მსოფლიოს №1 ადამიანის ტიტულის მფლობელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ბოკერია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ვერიკო შელიასთან.

ვერიკო შელია-ეს სახელი ოქროს ასოებით შევა ქართული განათლების ისტორიაში და მას დრო-ჟამი ვერ გააფერმკრთალებს, რამეთუ მისი უშუალო ხელმძღვანელობით განმტკიცდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამცვლიანი სასწავლო პროცესი გახდა ერთცვლიანი, რადგან სკოლას მიუშენდა ახალი სასწავლო კორპუსი და დაინერგა კაბინეტური სისტემა, განსაკუთრებით გამორჩეული იყო პედაგოგ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, ამიტომაც სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას სახელგანთქმულ მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამიტომაც მოიხსენიებენ მას დღესაც – „ვერიკოს სკოლად“.

ვერიკო შელია არამარტო მოძღვარი, მასწავლებელი იყო, არამედ ცნობილი საზოგადო მოღვაწეც, მისი ომახიანი, ვაჟკაცური ხმა დღესაც აღვიძებს ახალგაზრდობას და მოუწოდებს, იბრძოლონ უკეთესი მომავლისათვის, რამეთუ „სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

გასაოცარი იყო მისი ოჯახური გარემოც. მეუღლე – გრიგოლ დარჯანია, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, წლების განმავლობაში ქალაქკომის მდივანი, სამამულო ომის მონაწილე, ფოთის შრომისა და ომის ვეტერანთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალი და პუბლიცისტი, შესანიშნავი მონოგრაფიის „50-ე გამარჯვების გაელვების“ ავტორი. მათ ერთად გაატარეს მთელი ცხოვრება.

ვერიკო შელია – შესანიშნავი შვილების აღმზრდელი!

უსასრულოდ შეიძლება მასზე ისაუბრო.

წავიდა ჩვენგან ამაგდარი, ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგი და მოქალაქე, დიდი ქალბატონი, უსაზღვროდ შეყვარებული სამშობლოზე, ქალაქზე და ოჯახზე, ქალბატონი, რომელმაც შექმნა ეპოქა ქართულ პედაგოგიკაში...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ფოთის პედაგოგიური საზოგადოება

სულთათანა

ამბაკო ჭკადუა

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ამბაკო ჭკადუა**. იგი მრავალი წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი იყო. ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით მან შეიმუშავა ტოპონიმურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები. ზოგადთეორიული საკითხების გარდა, ამბაკო ჭკადუა აქტიურად მუშაობდა საერთო ქართველური, განსაკუთრებით სვანური ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიაზე; პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას რჩევითა და რეკომენდაციით, მან ადგილზე შეაგროვა სვანეთის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელწოდებანი (ინფორმატორთა ვინაობისა და რაიონების დასახელებით). სამწუხაროდ, ეს უნიკალური ნაშრომი დღემდე არ არის გამოქვეყნებული.

ამბაკო ჭკადუა, როგორც პიროვნება, დადებითი თვისებებით იყო შემკული. სამშობლოზე შეყვარებულს, უცხოობაში მოუწია სიცოცხლის ბოლო წლების გატარება. მიუხედავად ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობისა, ყოველ წელს ჩამოდიოდა საქართველოში, რაშიც მას ხელს უწყობდნენ შვილები, განსაკუთრებით ქალიშვილი, ცნობილი მხატვარი ეთერ ჭკადუა.

ქართული სამეცნიერო საზოგადოება მუდამ კეთილად მოიგონებს შესანიშნავ პიროვნებას, შრომისმოყვარე მეცნიერსა და კარგ პედაგოგს ამბაკო ჭკადუას.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები:
ელისაბედ გაზდელიანი, როენა ჭკადუა, მედეა საღლიანი, ლელა გიგლემიანი, ნატო შავრეშიანი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ყოფილი თანამშრომელი

დარეჯან სხილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა ასოციაცია თანაუგრძნობს პროფესორ ნელი ბარნაბიშვილს და პროფესორ ედიშერ ივანიძეს დეიდის

ქეთევან ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

განახლებული 100-ლარიანი

2016 წლის პირველი ნოემბრიდან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევაში 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვა და მიმოქცევაში იქნება ძველი ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

100 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტზე შენარჩუნებულია კარგად ნაცნობი, ლარის ბანკნოტების თავდაპირველი თემატიკა, ამავდროულად ბანკნოტზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით. განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი.

აღსანიშნავია, რომ განახლებულმა ლარმა პირველი საერთაშორისო აღიარება უკვე მოიპოვა. 2016 წლის 15 მარტს, ბუქარესტში „™HSP Europe-ის კონფერენციაზე ორგანიზებულ დაჯილდოების ცერემონიალზე ევროპისა და დსთ–ს ქვეყნების მასშტაბით საუკეთესო რეგიონალური ბანკნოტის ნომინაციაში „2016 წლის საუკეთესო რეგიონალური ბანკნოტების სერია“ ლარის განახლებული ბანკნოტების სერიამ (20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები) გაიმარჯვა.

„შეყავი თავი გალერეაში“

ახალგაზრდა ხელოვანის **თეზი გაბუნიას** ინტერაქციული არტპროექტი, „შეყავი თავი გალერეაში“ ვენაში, ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობაზე გამოიფინა. ნამუშევარი „Popiashvili Gvaberidze Window Project-მა“ თიბისი ბანკის მხარდაჭერით წარადგინა. პროექტი 28 ქვეყნის თანამედროვე ხელოვანების ნამუშევრებს შორის, ქართულ პავილიონშია წარმოდგენილი. არტპროექტი „შეყავი თავი გალერეაში“ დამთვალიერებელს შესაძლებლობას აძლევს, დაათვალიეროს სამი ცნობილი გალერეის ლუვრის (პარიზი), ტეიტ მოდერნის (ლონდონი), გაგოსიანის გალერეის (ნიუ იორკი) მინი-მოდელები, პირდაპირი მნიშვნელობით თავი შეყოს საგამოფენო სივრცეში, გადაიღოს ფოტო რუბენსის, ჰერსტის, ლიხტენშტეინის და სხვა ცნობილი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად და თავადაც გახდეს საგამოფენო ექსპონატი.

◎ ანეკდოტები

მარჩიელი ბანქოს ქაღალდს უშლის კლიენტს და ეუბნება:

— 65 წლამდე უფულოდ იქნები და ეს დაგტანჯავს.

— მერე? მერე რა იქნება?

— მერე უფულობას მიეჩვევი.

* * *

— გეიგე, ჭიჭიკოს ვენაცვალე, პუჭუჭია უძრავი ქონების მფლობელი რომ გახდა?

— გევიგე, აპა არ გევიგე? მაგან დილით მეც შემომჩივლა — წუხელი ჩემს მანქანას ოთხივე საბურავი მოხსნესო...

* * *

ცოლი ეუბნება ქმარს:

— აი, გენაცვალე, ეს ლამაზი აბრეშუმი შენთვის ვიყიდე, ცხვირსახოცს შეგიკერავ!

— კი მაგრამ ცხვირსახოცს სამი მეტრი ქსოვილი რად უნდა?

— რა ვიცი, აბა, რაც მორჩება იმისგან ჩემთვის იქნებ კაბა შევიკერო...

* * *

ფარმაცევტი უხსნის პრაქტიკანტს:

— აი, ამ ქილიდან წამალს მხოლოდ მაშინ ვასხამთ, როცა რეცეპტის გარჩევა საერთოდ შეუძლებელია!

* * *

მასწავლებელი ეკითხება მიხოს:

— მამაშენი სად მუშაობს?

— ტრანსფორმატორად.

— ეგ როგორ?

— როგორ და 220-ს იღებს, სახლში 127 მოაქვს, დანარჩენზე კი გუგუნებს!..

სუპერღვინო, ქვევრი და სახელოსნო იყალთოდან

ქართული ღვინის კვირეული თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს ქვევრის სკოლა-სახელოსნოს გახსნის საზეიმო ღონისძიებით დაიწყო. ღონისძიება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გახსნა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სიმბოლურია, რომ ქართული ღვინის კვირეული ქვევრის სკოლა-სახელოსნოს გახსნით დაიწყო, რადგან ქვევრი და ღვინო ერთმანეთისგან განუყოფელია, ქართული კულტურისა და ტრადიციების ნაწილია.

„მოხარული ვარ, რომ ქვევრის სკოლა-სახელოსნოს დაარსების პროექტი მთავრობის, ეკლესიის, ადგილობრივი ხელისუფლების და კერძო სექტორის აქტიური თანამშრომლობით, ერთ წელიწადში რეალობად იქცა და დღეს, ყველა ჩვენგანი ამ მნიშვნელოვანი ამბის თანამონაწილენი ვართ. მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი სექტორის, მათ შორის მეღვინეობის განვითარება უნდა მოხდეს კომპლექსში. შესაბამისად, ქვევრის სკოლა-აკადემია ქვევრის ღვინის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ბულ ადგილს უმკვიდრებს. 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს იუნესკომ არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც ძალიან დიდი აღიარებაა მთელი საქართველოსთვის“. — აღნიშნა **ლევან დავითაშვილმა.**

ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ინიციატივით დაარსებული ქვევრის სკოლა-სახელოსნო მიზნად ისახავს ქვევრის დამზადების ტრადიციული, უძველესი მეთოდების აღდგენა-შენარჩუნებას, ასევე სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული და ტურისტულ-საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარებას.

სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა აღნიშნა, რომ სკოლა-სახელოსნოს აშენება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სოფლის მეურნეობის და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, ასევე კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა და მხარდაჭერა. მეუფემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს და დასძინა, რომ სკოლა-სახელოსნოს ფუნქციონირება რამდენიმე წლის შემდეგ რეალურ, პოზიტიურ შედეგებს მოიტანს.

ელემენტს წარმოადგენს. თითქმის მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. ქვევრის ღვინო კი, არის უნიკალური მარგალიტი, რომელიც ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე განსხვავებულ და განსაკუთრე-

◎ კრიმინალი

მკვლელობის მცდელობისთვის 8 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბრალდებული ერმილე აკოფაშვილი დამნაშავედ სცნო განზრახ მკვლელობის მცდელობაში და საბრძოლო მასალის — ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით, 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით.

2016 წლის 27 იანვარს, 16:55 საათზე, ერმილე აკოფაშვილი მივიდა ქ.თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ზაზა ილურიძის მაღაზიასთან და ეჭვიანობის ნიადაგზე, ზაზა ილურიძის მოკვლის განზრახვით საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი „რგდ 5“-ის ტიპის ხელყუმბარა მაღაზიაში შეაგდო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ერმილე აკოფაშვილი იმავე დღეს თბილისში დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ერმილე აკოფაშვილი სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.3124; ევრო - 2.5984;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0181;
100 რუბლი - 3.6253; თურქული ლირა - 0.7839;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4100;
1000 სომხური დრამი - 4.8888.

ამინდი 24 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +10,	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +14
თბილისი:	ღამე +14,	დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE